

**International Federation of Library Associations and Institutions
Universal Bibliographic Control and International MARC Programme**

UBCIM Publications – New Series Vol 2

UNIMARC/AUTHORITIES

Universal Format for Authorities

**Recommended by the IFLA Steering Group
on a UNIMARC Format for Authorities**

**Approved by the Standing Committee
of the IFLA Section on Cataloguing
and Information Technology**

Edited by Marie-France Plassard

**K. G. Saur
Munich . London . New York . Paris -1991**

**Translated into Georgian by
Teimuraz Chkhenkeli and Giorgi Bakhia**

**Library Automation Association in Georgia
Tbilisi 2000**

საბიბლიოთეკო ასოციაციების და ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაცია
(I F L A)

საყოველთაო ბიბლიოგრაფიული აღრიცხვისა და საერთაშორისო კომპიუტერული
კატალოგიზაციის პროგრამა (UBCIM)

UBCIM-ის გამოცემები – ახალი სერია ტომი 2

UNIMARC/AUTHORITIES

საყოველთაო ფორმატი ავტორიტეტული ჩანაწერებისათვის

რეკომენდირებულია UNIMARC ფორმატის ავტორიტეტული ჩანაწერების
IFLA-ს სამეთვალყურეო ჯგუფის მიერ

მოწონებულია IFLA-ს კატალოგიზაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების
მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ

რედაქტორი მარი-ფრანს პლასარი

კ.გ.საური
მიუნხენი. ლონდონი. ნიუ-იორკი. პარიზი -1991

ინგლისურიდან თარგმნეს
თეიმურაზ ჩხენკელმა და გიორგი ბახიამ

ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის ასოციაცია საქართველოში
თბილისი 2000

შინაარსი

წინასიტყვაობა

შესავალი

განსაზღვრებანი

ფორმატის შექმნის სახელმძღვანელო პრინციპები

ფუნქციონალური ბლოკები

გამოყენების სახელმძღვანელო

სავალდებულო ველები

მმართველი ფუნქციები

ველების და ქვეველების განმეორება

ქვეველების თანამიმდევრობა

შემავსებელი სიმბოლო

კოდირებული მონაცემების მნიშვნელობები

პუნქტუაცია

ფორმატის გამოყენება

ავტორიტეტული ჩანაწერები

მითითებითი ჩანაწერები

ზოგადი განმარტებითი ჩანაწერები

პარალელური ჩანაწერები

მონაცემები ალტერნატიულ დამწერლობაში

შედგენილი თავსათაურები

ჩანაწერის შიგთავსის წარმოდგენის სქემა

შესატყვისობა UNIMARC/Authorities-სა და UNIMARC-ს შორის

ავტორიტეტულ და მითითებით აღწერილობათა გამოტანა

კომპიუტერის ეკრანზე

განმარტებითი შენიშვნები

ველების ნუსხა

ფორმატი

ჩანაწერის მარკერი

ცნობარი

0-- ჩანაწერის იდენტიფიკაციის ბლოკი

1-- კოდირებული ინფორმაციის ბლოკი

მაკონტროლებელი ქვეველები

2-- თავსათაურების ბლოკი

3-- საინფორმაციო შენიშვნების ბლოკი

4-- “იხ.” მითითებების ტრასირების ბლოკი

5-- “იხ. აგრეთვე” მითითებების ტრასირების ბლოკი

6-- საკლასიფიკაციო ინდექსების ბლოკი

7-- დამაკავშირებელი თავსათაურების ბლოკი

8-- ინფორმაციის წყაროს ბლოკი

წინასიტყვაობა

ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების საერთაშორისო გაცვლის ფორმატის - UNIMARC-ის შემოღებამ მყისვე მოითხოვა თავსათაურების ავტორიტეტული ფორმების ჩანაწერების გასაცვლელად თანმხლები ფორმატის შემუშავების აუცილებლობა. ამ მოთხოვნის დასაყრდენად IFLA-ამ, პირველ რიგში, ავტორიტეტული ინფორმაციის შინაარსისა და ეკრანზე გამოტანის სტანდარტის – “ავტორიტეტულ და მითითებით აღწერილობათა სახელმძღვანელოს” (Guidelines for Authority and Reference Entries-GARE) შექმნით უპასუხა. GARE-ში აღწერილია მონაცემთა ელემენტები, რომლებიც ავტორიტეტულ და მითითებით აღწერილობათა ვიზუალურ ფორმებში გვხვდება. ამგვარად, ის წარმოადგენს საფუძველს კომპიუტერული ფორმატის - UNIMARC/Authorities-ს შესაქმნელად, შესაძლებელი რომ იყოს ამ სპეციფიკური მონაცემების გაცვლა.

რადგანაც UNIMARC/Authorities ურთიერთდაკავშირებული UNIMARC ფორმატების ჯგუფს ეკუთვნის, ის იმ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომლებიც მიღებულია ამ ჯგუფისათვის. ეს ეხება კომპიუტერული ჩანაწერის ფორმატის სამ ძირითად ნაწილს:

- 1) ჩანაწერის სტრუქტურას, რომელიც ინფორმაციის ჩაწერის სქემა და მისი ფიზიკური წარმოდგენაა;
- 2) ჩანაწერის შიგთავსის აღმნიშვნელი, რომელიც ინფორმაციას იძლევა მონაცემთა ელემენტების შესახებ და ახდენს მათ იდენტიფიცირებას;
- 3) ჩანაწერის მონაცემთა შიგთავსი – ეს ის მონაცემებია, რომლებიც უდა გადაიცეს.

პირველ რიგში, ავტორიტეტული ჩანაწერების ფორმატი სტრუქტურულად თავსებადი უნდა იყოს UNIMARC ფორმატთან, რადგანაც ორივე ტიპის ჩანაწერები ერთად უნდა იყოს გამოყენებადი სისტემებში. ამგვარად UNIMARC/Authorities უნდა აკმაყოფილებდეს ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის გაცვლის სტანდარტულ ფორმატს ISO 2709-ს, რომელიც შემუშავებული იყო სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, და ზუსტად ისეთივე პირობებით, როგორც UNIMARC ფორმატი. მეორეც, თავსათაურების შიგთავსის აღმნიშვნელი იგივე უნდა იყოს, რაც UNIMARC-ში, როდესაც ორივე ფორმატში ერთი და იგივე მონაცემთა ელემენტებია გამოყენებული. ბიბლიოგრაფიულ და ავტორიტეტულ ჩანაწერებში თავსათაურების ურთიერთქმედება არ უნდა რთულდებოდეს შიგთავსის აღმნიშვნელების განსხვავების გამო, რადგანაც თავსებადობის დონე პირდაპირ გავლენას ახდენს ფორმატის გაგებისა და გამოყენების სიმარტივეზე. ეს კი იმას ნიშნავს საზოგადოდ, რომ ანალოგიურ მონაცემთა ელემენტების ქვევლები უნდა ემთხვეოდეს, მაშინ, როცა მათი ჭდეები განსხვავებული უნდა იყოს, რადგანაც ბიბლიოგრაფიულ და ავტორიტეტულ ჩანაწერებში მონაცემთა ელემენტებს განსხვავებული ფუნქციები აქვთ. გარდა ამისა, მომხმარებლის ამ ფორმატებით უკეთ მომსახურებისათვის სჯობია, რომ ფორმატებს საერთო კონცეფცია და სქემა ჰქონდეს. მეორე სტანდარტი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ფორმატი UNIMARC/Authorities, არის GARE. გარკვეული ტიპის ავტორიტეტული ჩანაწერების ძირითად მონაცემთა ელემენტები, რომლითაც ხდება თავსათაურების, ურთიერთკავშირებისა და ავტორიტეტული და მითითებითი ინფორმაციის იდენტიფიცირება, განსაზღვრულია GARE-ში.

მონაცემთა წარმოდგენის ფორმა ავტორიტეტულ ჩანაწერში იმ წესებსა და შეთანხმებებს აკმაყოფილებს, რომლებიც მიღებულია ჩანაწერის შემქმნელ სააგენტოში. თუმცა, არსებობს IFLA-ს მიერ გამოქვეყნებული რეკომენდაციები თავსათაურის ფორმის შესახებ – კოლექტიური თავსათაურის ფორმა და სტრუქტურა, რომელიც შეძლებისდაგვარად უნდა იყოს დაცული. IFLA-ს ეს რეკომენდაციები მრავალ საკატალოგიზაციო წესებშია გამოყენებული ან გათვალისწინებული.

ყოველ ორგანიზაციას, რომელიც UNIMARC/Authorities იყენებს თავისი წესები და შეთანხმებები უნდა ჰქონდეს იმის შესახებ თუ რა შემთხვევებში უნდა იყოს ეს ჩანაწერები შექმნილი, რა მითითებები უნდა იყოს ჩართული ჩანაწერში და როგორ უნდა იყოს ჩაწერილი პარალელური თავსათაურის ფორმები. მაგალითად, რომელიმე ორგანიზაციას შეუძლია არ შექმნას ავტორიტეტული ჩანაწერები პერსონალურ სახელებზე ან დააწესოს შეზღუდვები ჯვარედინი მითითებების რაოდენობაზე. მიუხედავად ამისა, ასეთი ფორმატის გამოყენება შეიძლება, თუმცა ჩანაწერების მიმწოდებელმა მიმღებს უნდა შეატყობინოს თავისი შეზღუდვების შესახებ.

როდესაც საერთაშორისო ავტორიტეტული სისტემის მოდელს საბოლოოდ შეიმუშავებს IFLA, მოთხოვნები მონაცემთა ელემენტების მიმართ კიდევ უფრო მეტად იქნება იმისკენ გამიზნული, რომ ჩანაწერების საერთაშორისო გაცვლა უფრო უნიფიცირებული და თავსებადი გახდეს. ამ მოდელის შექმნისას შეიძლება გამოვლენილ იქნას UNIMARC/Authorities-ში მონაცემთა ახალი ელემენტების დამატების საჭიროება გამოვლინდეს, უფრო მოსახერხებელი და ადვილი რომ გახდეს ავტორიტეტული ჩანაწერების გაცვლა მთელს მსოფლიოში.

GARE-ზე პასუხისმგებელი IFLA-ს ჯგუფი საერთაშორისო ავტორიტეტული სისტემის – IFLA-ს მუშა ჯგუფი იყო, რომელიც ავტორიტეტული მონაცემების საერთაშორისო გაცვლის ამოცანებთან დაკავშირებით შექმნა ერთობლივად საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კატალოგიზაციის სექციებმა. 1983 წელს ეს სამუშაო ძირითადად დასრულებული და დასამტკიცებლად წარდგენილი იყო IFLA-ს კომიტეტებში. ამ სამუშაო ჯგუფმა დააყენა საკითხი ავტორიტეტული ჩანაწერების ფორმატის შექმნის დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ. ამის საფუძველზე UNIMARC ფორმატის ავტორიტეტული ჩანაწერებისათვის შეიქმნა მმართველი ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

მარი-ლუიზ ბახმანი, კუნგლიგა ბიბლიოტეკ, სტოკჰოლმი
კრისტინ ბოსმეიერ, თავმჯდომარე, დოიჩე ბიბლიოტეკ, ფრანკფურტი
დაიანა ბ. დეკ, ავსტრალიის ეროვნული ბიბლიოთეკა, კანბერა
დოკტორი ტომ დესლი, კანადის ეროვნული ბიბლიოთეკა, ოტავა
ჯ. მ. ფეიენი, პიკა სამენვერკინგსვერბანდ, კონინკლიკე ბიბლიოტეკ, დენ ჰააგ
ფრანსეზ ფინელი-ლემელე, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, პარიზი
გიუნტერ ფრანცმეიერ, სტაატსბიბლიოტეკ პრუსისხერ კულტურბესიტც,
ბერლინი
პაულა გუსენს, ალბერტ პირველის სამეფო ბიბლიოთეკა, ბრიუსელი
ანტონი ლონგი, ბრიტანეთის ბიბლიოთეკა, ლონდონი

UNIMARC/Authorities ფორმატის პროექტის რედაქტორი იყო სალი მაკკალუმი. მმართველი ჯგუფის მოვალეობაში შედიოდა ზოგადი კონსულტაციები და

ხელნაწერების რეცენზირება. მუშაობა, ძირითადად, მიმოწერის საშუალებით ხორციელდება. მმართველი ჯგუფის ყველა წევრს სამჯერ დაეგზავნა ხელნაწერი რეცენზირებისათვის: 1-ლი ხელნაწერი 1984-26-05; მე-2 1985-10-21 და მე-3 1987-03-13. მიღებული შენიშვნების საფუძველზე მომზადდა მე-4 ვარიანტი, რომელიც უფრო მეტი რაოდენობის სპეციალისტებს დაეგზავნა რეცენზირებისათვის. 1988 წლის თებერვალში მე-4 ვარიანტი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კატალოგიზაციის სექციების ყველა წევრისათვის დაიგზავნა, რომელთაც ბევრი დრო და დიდი ძალისხმევა მოანდომეს UNIMARC/Authorities ფორმატის შემუშავებას.

ქრისტინ ბოსმეიერი

შესავალი

მოქმედების არე: UNIMARC/Authorities ფორმატი განსაზღვრავს ველების ჭდეებს, ქვეველების ინდიკატორებს და იდენტიფიკატორებს, რომლებიც გამოყენებული უნდა იყოს ავტორიტეტულ, მითითებით და ზოგადგანმარტებით კომპიუტერულ ჩანაწერებში. ეს ჩანაწერები გარკვეული ტიპის კატალოგების გამოყენების სახელმძღვანელოდ იქმნება. ამ ტიპს მიეკუთვნება: სახელების (პერსონალური, საგვარეულო, ორგანიზაციების, შეხვედრების და გეოგრაფიული სახელების), უავტორო ნაწარმოებების უნიფიცირებული სათაურების, ინდივიდუალური ავტორების ნაწარმოებების უნიფიცირებული სათაურების და თემატური რუბრიკების კატალოგები. ეს სახელები, სათაურები და თემატური რუბრიკები გვხვდება ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში, როგორც ძირითადი, მეორადი და ალტერნატიული აღწერილობები და ასევე სერიებისა და თემატურ კატალოგებში.

ასეთი ჩანაწერის ფორმატი ითვალისწინებს GARE-ს მოთხოვნებს ავტორიტეტული ჩანაწერების კომპიუტერის ეკრანზე გამოტანის მიმართ, რომლებიც ეხება სახელებს და ანონიმური კლასიკური ნაწარმოებების უნიფიცირებულ სათაურებს. კომპიუტერის ეკრანზე გამოტანის მსგავსი მოთხოვნები სხვა ტიპის უნიფიცირებული სათაურებისა და თემატური რუბრიკების მიმართ, ჯერ არ არის შემუშავებული.

ავტორიტეტული ჩანაწერები სერიული გამოცემების აღწერილობებისათვის, ამ ფორმატში თავსათაურის ინფორმაციით არის შეზღუდული. სერიის დამუშავების თარიღი, რომელიც ზოგიერთ სააგენტოს შეაქვს ავტორიტეტულ ჩანაწერში, არ არის გათვალისწინებული.

როდესაც კომპიუტერის ეკრანზე გამოტანის მოთხოვნების სხვა ტიპის უნიფიცირებულ სათაურებისა და თემატური რუბრიკების მიმართ, და საერთაშორისო ავტორიტეტული სისტემის მოდელს საბოლოოდ შეიმუშავებს IFLA, მაშინ, სისტემასთან და ამ ფორმატთან თავსებადობის მიზნით, შესაძლოა ამ ფორმატს მონაცემთა ელემენტები დაემატოს.

მიზანი: UNIMARC/Authorities ძირითადი მიზანია ავტორიტეტული მონაცემების კომპიუტერული ჩანაწერების საერთაშორისო გაცვლის ხელშეწყობა ეროვნულ ბიბლიოგრაფიულ სააგენტოებს შორის.

გამოყენება: მოსალოდნელია, რომ ყოველი ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტო ვალდებული იქნება აიღებს ავტორიტეტული ჩანაწერების UNIMARC/Authorities ფორმატში კონვერტირებაზე სხვა ეროვნული ბიბლიოგრაფიული სააგენტოებისათვის ამ ჩანაწერების მისაწოდებლად ელექტრონული სახით, და ასევე მიიღებს სხვებისაგან. UNIMARC/Authorities დანიშნულებაა შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოს მთელი რიგი ბიბლიოგრაფიული პროცესები. ამიტომ შეიცავს ეს ფორმატი შიგთავსის აღმნიშვნელებს, რომელთა გამოყენება შეიძლება არსებითი იყოს ზოგიერთი ბიბლიოგრაფიული პროცესისათვის, მაგრამ არა ყველასათვის.

სტანდარტები UNIMARC/Authorities ფორმატში დაშვებულია შემდეგი სტანდარტების გამოყენება:

ISO 646 – 1983: Information processing – ISO 7-bit coded character set for information processing interchange. 15p.

ISO 962 – 1974: Information processing – Implementation of the 7-bit coded character set and its 7-bit and 8-bit extensions on 9-track 12.7mm (1/2 inch) magnetic tape. 3p.

ISO 1001 – 1979: Magnetic tape labelling and file structure for information interchange. 29p.

ISO 2014 – 1976: Writing of calendar dates in all-numeric form. 1p.

ISO 2022 – 1983: Information processing - ISO 7-bit and 8-bit coded character sets – code extension techniques. 32p.

ISO 2375 – 1980: Data processing – Procedure for registration of escape sequences. 2p.

ISO 2709 – 1981: Documentaion – Format for bibliographic information interchange on magnetic tape. 4p.

ISO 3166 – 1981: Codes for the representation of names of countries. 49p. Amendments issued occasionally.

ISO 3307 – 1975: Representations of time of the day.

სხვა დაკავშირებული დოკუმენტები:

International Federation of Library Associations and Institutions. Guidelines for Authority and Reference Entries-GARE. London: IFLA International Programme for UBC, 1984. 40p.

UNIMARC Manual. London: : IFLA International Programme for UBC, 1987. [Includes specifications for the UNIMARC format for bibliographic data and code lists used in all UNIMARC formats.]

განსაზღვრებანი

ქვემოთ განსაზღვრულია ის ტერმინები, რომლებიც UNIMARC/Authorities-ში სპეციფიკური მნიშვნელობით არის გამოყენებული. იმ ტერმინების განსაზღვრებები, რომელიც ჩვეულებრივი ბიბლიოგრაფიული მნიშვნელობითაა გამოყენებული, არ არის მოცემული. განსაზღვრებების უფრო სრული ჩამონათვალი, რომელიც ავტორიტეტული აღწერილობის სხვადასხვა ნაწილებს ეხება, მოთავსებულია – “ავტორიტეტულ და მითითებით აღწერილობათა სახელმძღვანელოში” (Guidelines for Authority and Reference Entries-GARE).

ჩანაწერებისა და აღწერილობათა ტიპები

ავტორიტეტული აღწერილობის ჩანაწერი (Authority entry record) – ავტორიტეტული აღწერილობის კომპიუტერული ჩანაწერი

ავტორიტეტული აღწერილობა (Authority entry) – აღწერილობა, რომლის საწყისი ელემენტი უნიფიცირებული თავსათაური პიროვნების სახელის, ორგანიზაციის, ნაწარმოების სათაურის ან თემატური რუბრიკისათვის, როგორც დააწესა პასუხისმგებელმა საკატალოგიზაციო სააგენტომ. უნიფიცირებული თავსათაურის დამატებით ჩანაწერი შეიძლება შეიცავდეს საინფორმაციო შენიშვნებს; ყველა ვარიანტულ და დაკავშირებულ თავსათაურს, საიდანაც კეთდება მითითებები (ტრასირებები); შენიშვნები ინფორმაციის წყაროს შესახებ და სხვ.;

საიდენტიფიკაციო ცნობები ჩანაწერზე პასუხისმგებელ საკატალოგიზაციო სააგენტოს შესახებ და საერთაშორისო სტანდარტული ავტორიტეტული მონაცემის ნომერი.

ზოგადი განმარტებითი აღწერილობის ჩანაწერი (General explanatory entry record) - ზოგადი განმარტებითი აღწერილობის კომპიუტერული ჩანაწერი.

ზოგადი განმარტებითი აღწერილობა (General explanatory entry) – აღწერილობა, რომლის საწყის ელემენტს, ჩვეულებრივ, წარმოადგენს თავსათაურის შეკვეცილი ან სტილიზებული, ან რაიმე სამაგალითო ფორმა, საიდანაც კეთდება მითითება უფრო ზოგადი კლასის ან განსაზღვრული კატეგორიის თავსათაურზე. ეს აღწერილობა მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას, რომელიც იყენებს ნუსხებს, კატალოგებს და ბიბლიოგრაფიის სხვა წყაროებს იმ შეთანხმებების შესახებ, რომლებიც ეხება თავსათაურების გარკვეულ კატეგორიას და მათ ადგილმდებარეობას.

მითითებითი აღწერილობის ჩანაწერი (Reference entry record) - მითითებითი აღწერილობის კომპიუტერული ჩანაწერი. მითითებითი აღწერილობის ჩანაწერი მხოლოდ ვარიანტული თავსათაურებისათვის კეთდება.

მითითებითი აღწერილობა (Reference entry) – აღწერილობა, რომლის საწყისი ელემენტია ან ვარიანტული, ან უნიფიცირებული თავსათაური. ის იმისათვის იქმნება, რომ ნუსხების, კატალოგებისა და ბიბლიოგრაფიის სხვა წყაროების მომხმარებელს მიუთითოს გზა ან ვარიანტული თავსათაურისაგან შესაბამის უნიფიცირებულ თავსათაურისაკენ (ანუ “იხ.” მითითება), ან უნიფიცირებული თავსათაურისაგან დაკავშირებულ თავსათაურებისაკენ (ანუ “იხ. აგრეთვე” მითითება).

თავსათაურების ტიპები

თავსათაური (heading) -

(1) აღწერილობის საწყისი ელემენტი, რომელიც აღწერილობათა ანბანურ განლაგებაში დახარისხების მთავარ ელემენტად არის გამოყენებული. *იხ., აგრეთვე, ავტორიტეტული, მითითებითი და განმარტებითი თავსათაური.*

(2) სიტყვა “თავსათაური” შესაძლებელია გამოყენებული იყოს ისეთ ტერმინებში, როგორცაა “უნიფიცირებული თავსათაური”, “ვარიანტული თავსათაური” და სხვ., რომლებიც გამოხატავს ელემენტის სტატუსს და მიმართებას სხვა მსგავს ელემენტებთან. ასეთ შემთხვევებში სიტყვა “თავსათაური”-ს გამოყენება არ არის დამოკიდებული მის ფუნქციაზე ავტორიტეტულ ან მითითებით აღწერილობაში. *იხ., აგრეთვე, უნიფიცირებული თავსათაური, პარალელური თავსათაური, დაკავშირებული თავსათაური, ვარიანტული თავსათაური და თავსათაური ვარიანტულ დამწერლობაში.*

(3) ისეთი ტერმინები, როგორცაა “ორგანიზაციის სახელწოდების თავსათაური” და “პერსონალური სახელის თავსათაური”, შეიძლება გამოყენებული იყოს თავსათაურის ტიპის აღსანიშნავად სახელის ან სათაურის ტიპის მიხედვით,

რომელსაც ის ეფუძნება, მიუხედავად მისი ფუნქციის ან კავშირისა სხვა თავსათაურებთან.

თავსათაურების კატეგორიზაცია აღწერილობაში (ჩანაწერში) მათი ფუნქციების მიხედვით:

ავტორიტეტული თავსათაური – თავსათაური ავტორიტეტული აღწერილობისათვის.

მითითებითი თავსათაური – თავსათაური მითითებითი აღწერილობისათვის.

განმარტებითი თავსათაური – თავსათაური ზოგადი განმარტებითი აღწერილობისათვის.

თავსათაურების კატეგორიზაცია სხვა თავსათაურებთან ურთიერთკავშირის მიხედვით:

უნიფიცირებული თავსათაური – თავსათაურის დადგენილი ფორმა, რომლის შეცვლა დაშვებული არ არის ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში.

პარალელური თავსათაური – ავტორიტეტული თავსათაურის ალტერნატიული ფორმა, მიღებული სახელის ან სათაურის წარმოდგენით სხვა ენაზე.

დაკავშირებული თავსათაური – ბიბლიოგრაფიულად ურთიერთდაკავშირებული უნიფიცირებული თავსათაურებიდან ერთ-ერთი.

ვარიანტული თავსათაური – თავსათაური, რომელიც განსხვავდება დადგენილი უნიფიცირებული თავსათაურისაგან. ჩვეულებრივ, ასეთი თავსათაური ეფუძნება ვარიანტულ სახელს, რომელსაც იყენებს თვით პიროვნება ან ორგანიზაცია, ან, ზოგჯერ სხვა პიროვნება ან ორგანიზაცია იყენებს პიროვნების, ორგანიზაციის ან ნაშრომის იდენტიფიკაციისათვის, ან შედგენილია დადგენილი უნიფიცირებული თავსათაურის შედგენის სქემისაგან განსხვავებული სქემის მიხედვით. ის შეიძლება აგრეთვე იყოს უნიფიცირებული საგნობრივი რუბრიკა, რომელიც არ არის აღწერილობის ელემენტის ნაწილი.

თავსათაური ალტერნატიულ დამწერლობაში – თავსათაური, წარმოდგენილი სხვა დამწერლობაში.

ჩანაწერის კომპონენტები

ტრასირება – ავტორიტეტულ ჩანაწერში ვარიანტული ან დაკავშირებული თავსათაურის იდენტიფიცირება, რომლისგანაც მიეთითება და რომლის საშუალებით ნუსხების, კატალოგებისა და ბიბლიოგრაფიის სხვა წყაროების მომხმარებელს მიენიშნება გზა შესაბამისი უნიფიცირებული თავსათაურისაკენ, რომელიც, თავის მხრივ, ავტორიტეტული ჩანაწერის თავსათაურს წარმოადგენს. ტრასირება შექმნილია მითითებების გენერირებისათვის და კატალოგიზატორის დასახმარებლად მითითების ტიპის შერჩევაში.

საინფორმაციო შენიშვნა – შენიშვნა, რომელიც გამოიყენება კატალოგებში (საცნობო ბარათი), ბიბლიოგრაფიებში და ა.შ. და იგი ჩაიწერება ავტორიტეტულ, მითითებით ან განმარტებით თავსათაურში მოცემული თავსათაურის კავშირის განმარტების მიზნით იმ თავსათაურებთან, რომლებზეც გაკეთებულია მითითება მოცემული თავსათაურიდან.

პირველადი ობიექტი – ობიექტი, რომელიც სახელდებულია ჩანაწერის 2-ბლოკში და რომლისთვისაც შექმნილია თვით ჩანაწერი. მონაცემები 1-ბლოკიდან ახასიათებს პირველად ობიექტს.

ჩანაწერის ტექნიკური ელემენტები

შიგთავსის აღმნიშვნელი – მონაცემთა ელემენტების იდენტიფიკაციის და/ან მათ შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდების საშუალება. შიგთავსის აღმნიშვნელი შედგება ჭდეების, ინდიკატორების და ქვევლების იდენტიფიკატორებისაგან.

მონაცემთა ელემენტი – ინფორმაციის უმცირესი ერთეული, რომელიც ცხადად არის განსაზღვრული. ცვლადი სიგრძის ველებში მონაცემთა ელემენტის იდენტიფიცირება ქვევლის იდენტიფიკატორით ხდება და ქვევლის შიგთავსს წარმოადგენს. ჩანაწერის მარკერში, ცნობარში და ფიქსირებული სიგრძის ქვევლებში მონაცემთა ელემენტების იდენტიფიცირება მათი სიმბოლოების პოზიციებით ხდება.

მონაცემთა ელემენტის იდენტიფიკატორი – იხილე ქვევლის იდენტიფიკატორი.

ველი – სიმბოლოების გარკვეული მიმდევრობა, რომელიც იდენტიფიცირებულია ჭდით და შეიცავს მონაცემებს.

ცვლადი ველი – ველი, რომლის მნიშვნელობის სიგრძე განისაზღვრება სიმბოლოთა რაოდენობით, რომელიც საჭიროა მონაცემთა ელემენტების წარმოდგენისათვის (ინდიკატორების, ქვევლის იდენტიფიკატორებისა და ველის გამყოფის ჩათვლით). ასეთი ველის სიგრძე შესაძლოა შეიცვლოს ველის ერთი მნიშვნელობიდან მეორე მნიშვნელობაზე გადასვლის შემდეგ. ცვლადი ველი შეიძლება შეიცავდეს ერთზე მეტ მონაცემთა ელემენტს და ქვეველს.

ჭდე – სამი სიმბოლოსაგან შემდგარი მიმდევრობა, რომლითაც განისაზღვრება მასთან დაკავშირებული ველის სახელი ან მარკერი.

ინდიკატორი – სიმბოლო (ციფრი ან ასო), დაკავშირებული ცვლად ველთან, რომელიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ველის შიგთავსის, მოცემული ველის სხვა ველებთან ურთიერთკავშირის ან იმ პროცესების შესახებ, რომელიც საჭიროა მოცემულ ველთან სამუშაოდ.

ქვეველი – ინფორმაციის განსაზღვრული ერთეული ველის შიგნით (იხ. აგრეთვე მონაცემთა ელემენტი).

ქვევლის იდენტიფიკატორი – ორი სიმბოლოსაგან შემდგარი კოდი, რომლითაც ხდება კონკრეტული ქვევლების იდენტიფიცირება ველის შიგნით. პირველი სიმბოლო ყოველთვის არის მაკონტროლებელი 1/15 ISO 646-დან, ხოლო მეორე

სიმბოლო ან ციფრია ან ასო. ტერმინი “ქვეველის იდენტიფიკატორი” სინონიმია ტერმინის “მონაცემთა ელემენტის იდენტიფიკატორი”.

ველის გამყოფი – მაკონტროლებელი სიმბოლო, რომელიც დაისმის ყოველი ცვლადი ველის ბოლოში მომდევნო ველისაგან გამოსაყოფად. (მაკონტროლებელი სიმბოლო 1/14 ISO 646-დან).

ჩანაწერის ბოლო – ყოველი ჩანაწერის ბოლო სიმბოლო (მაკონტროლებელი სიმბოლო 1/13 ISO 646-დან).

ფორმატის შექმნის სახელმძღვანელო პრინციპები

UNIMARC-ი შემუშავებული იყო შეთანხმებული პრინციპების ერთობლიობის მიხედვით. იგივე პრინციპები იყო მიღებული UNIMARC/Authorities-თვისაც.

- (1) ჭდე ველი უნდა განსაზღვროს ორი ასპექტით: i) ველში ჩაწერილი სიმბოლოთა მიმდევრობის ტიპი (მაგ., პიროვნების სახელი) და ii) ფუნქცია, რომელსაც ასრულებს სიმბოლოთა მიმდევრობა ველში (მაგ., ტრასირება). ეს ასპექტები გამოიხება ჭდეში სიმბოლოთა პოზიციებისათვის სპეციალური მნიშვნელობების მინიჭებით. ჭდე შეიძლება იყოს როგორც ციფრული, ასევე ანბანური. პირველ რიგში მინიჭება უნდა მოხდეს ციფრული მნიშვნელობებისათვის, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, მინიჭება ვრცელდება ანბანური მნიშვნელობებისათვის (უმჯობესია პატარა ასოების გამოყენება).
- (2) ინდიკატორები დამოკიდებული უნდა იყოს ველების ჭდეებზე და, რამდენადაც შესაძლებელია, თავსებადი (ერთგვაროვანი) ყველა ველისათვის. ინდიკატორები შეიძლება იყოს როგორც ციფრული, ასევე ანბანური. პირველ რიგში მინიჭება უნდა მოხდეს ციფრული მნიშვნელობებისათვის, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, მინიჭება ვრცელდება ანბანური მნიშვნელობებისათვის (უმჯობესია პატარა ასოების გამოყენება).
- (3) ქვეველების იდენტიფიკატორები დამოკიდებული უნდა იყოს ველების ჭდეებზე და, რამდენადაც შესაძლებელია, მონაცემთა ერთნაირი ელემენტები განსაზღვრული უნდა იყოს ქვეველების ერთი და იმავე იდენტიფიკატორებით ყველა ველისათვის. პირველ რიგში მინიჭება უნდა მოხდეს ანბანური მნიშვნელობებისათვის (უმჯობესია პატარა ასოების გამოყენება), ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, მინიჭება ვრცელდება ციფრული მნიშვნელობებისათვის. ქვეველების იდენტიფიკატორები ძირითადად მონაცემთა ელემენტების მნიშვნელობების იდენტიფიკაციისათვის გამოიყენება და არა მათი დალაგებისათვის. ქვეველების იდენტიფიკატორების რიგი დამოკიდებულია მონაცემთა ელემენტების რიგზე და ის სპეციალურად არ განისაზღვრება.
- (4) ავტორიტეტული ჩანაწერების ველები თავიდანვე ინფორმაციის ფართო კატეგორიებთან მიმართებაში უნდა განიხილებოდეს, როგორცაა “ჩანაწერის თავსათაური”, “იხ. აგრეთვე მითითების ტრასირება” და სხვ. კომპიუტერულ

- (5) შენიშვნებში მოთავსებული აღწერილობითი ინფორმაცია არ არის განკუთვნილი წვდომის წერტილებად (ანუ ინფორმაციის მიებისათვის) გამოსაყენებლად.

ფუნქციონალური ბლოკები

ავტორიტეტული და მითითებითი ჩანაწერების ველები დაყოფილია ფუნქციონალურ ბლოკებად; ჭდის მარცხნიდან პირველი ციფრი მიუთითებს, თუ რომელ ბლოკს ეკუთვნის ველი.

- 0- იდენტიფიკაციის ბლოკი: შეიცავს ნომრებს, რომლებითაც ხდება ჩანაწერის იდენტიფიცირება.
- 1- კოდირებული ინფორმაციის ბლოკი: შეიცავს ფიქსირებული სიგრძის მონაცემთა ელემენტებს (ისინი ხშირად კოდირებულია), რომლებიც ჩანაწერს ან მონაცემებს მრავალნაირი ასპექტით ახასიათებს.
- 2- თავსათაურის ბლოკი: შეიცავს ავტორიტეტულ, მითითებით ან განმარტებით თავსათაურებს, რომლისთვისაც მოცემული ჩანაწერი იყო შექმნილი.
- 3- საინფორმაციო შენიშვნის ბლოკი: შეიცავს შენიშვნებს, რომელთა დანიშნულებაა მომხმარებელს აუხსნას მოცემული ჩანაწერის თავსათაურის ურთიერთკავშირი სხვა თავსათაურებთან და ამ მიზნით კომპიუტერის ეკრანზე იქნეს გამოტანილი.
- 4- “იხ.” მითითების ტრასირების ბლოკი: შეიცავს ვარიანტულ თავსათაურებს, საიდანაც უნდა გაკეთდეს მითითება “იხ.” მოცემული ჩანაწერის თავსათაურზე.
- 5- “იხ. აგრეთვე” მითითების ტრასირების ბლოკი: შეიცავს დაკავშირებულ უნიფიცირებულ თავსათაურებს, საიდანაც უნდა გაკეთდეს მითითება “იხ. აგრეთვე” მოცემული ჩანაწერის თავსათაურზე.
- 6- დაკავშირებული თავსათაურების ბლოკი: შეიცავს ჩანაწერის თავსათაურს (2-) სხვა ფორმით, რომელიც ჩაწერილია სხვა ენაზე ან დამწერლობაში და ამ ჩანაწერთან აკავშირებს ბლოკი (2-)-ის ჩანაწერის თავსათაურს.
- 7- საკლასიფიკაციო ინდექსების ბლოკი: შეიცავს საკლასიფიკაციო ინდექსებს, რომლებიც განეკუთვნება მოცემული ჩანაწერის თავსათაურს.
- 8- საინფორმაციო წყაროს ბლოკი: შეიცავს ცნობებს ჩანაწერის წყაროს შესახებ და კატალოგიზატორის შენიშვნებს მონაცემთა ელემენტების შესახებ, რომლებიც არ არის განკუთვნილი მომხმარებლისათვის.
- 9- ეროვნული გამოყენების ბლოკი: შეიცავს მონაცემებს ჩანაწერის შემქმნელი ორგანიზაციის შესახებ. ამ ბლოკის ველების ჭდეები არ არის განსაზღვრული UNIMARC/Authorities-ში საერთაშორისო გაცვლისათვის.

გამოყენების სახელმძღვანელო

(1) სავალდებულო ველი

ჩანაწერის მარკერთან და ცნობართან ერთად კომპიუტერულ ჩანაწერში სავალდებულოა შემდეგი ველების არსებობა:

001 ჩანაწერის იდენტიფიკატორი

100 საერთო დამუშავების მონაცემები (მონაცემთა მხოლოდ ზოგიერთი ელემენტისათვის)

2- თავსათაური

801 ჩანაწერის წყაროს ველი

სხვა ველების არსებობა ჩანაწერში კონკრეტულ ჩანაწერზე დამოკიდებული, რომელიც კომპიუტერულ ფორმაში უნდა იყოს გადაყვანილი. მონაცემთა ელემენტების შიგთავსი განისაზღვრება საკატალოგიზაციო წესებითა და ჩანაწერის შემქმნელ ბიბლიოგრაფიულ სააგენტოში მიღებული პრაქტიკით, სხვა სიტყვებით, მონაცემთა ელემენტის არსებობა ან არ არსებობა განსაზღვრულია არა მარტო ფორმატის სპეციფიკაციით, არამედ კატალოგიზაციის ეროვნული წესებითა და პრაქტიკით. თუმცა, თუ მონაცემთა ელემენტი ჩანაწერში არსებობს, მისი შიგთავსი სრულად უნდა იყოს განსაზღვრული წინამდებარე დოკუმენტის დებულებების მიხედვით. კოდირებული სახით წარმოდგენილი საინფორმაციო ელემენტები, როგორც წესი, არ განისაზღვრება საკატალოგიზაციო წესებით. მონაცემთა კოდირებული ელემენტებიდან ზოგიერთი სავალდებულოა და ამიტომ ასეა იდენტიფიცირებული ამ ფორმატში.

(2) მართვის ფუნქციები

UNIMARC/Authorities-ში დაშვებული მართვის ფუნქციები შემოსაზღვრულია ქვეველების კოდებით, ველის გამყოფებით და ჩანაწერის ბოლოთი; გამოიყენება ისე, როგორც განსაზღვრულია ISO 2709-ში; გადამრთველი მიმდევრობების სიმბოლოთა სიმრავლით ისე, როგორც ეს განსაზღვრულია ISO 2202-ში; დალაგების ინფორმაცია და ზედა და ქვედა ინდექსები ისე, როგორც განსაზღვრულია ISO 6630-ში. ტიპოგრაფიული ფუნქციების მართვა, როგორცაა შრიფტების შეცვლა (კურსივი და სხვ.), არ დაიშვება. მმართველი ფუნქციების გამოყენება UNIMARC/Authorities-ის ფორმატის მიხედვით შექმნილ ჩანაწერებში სრულად არის აღწერილი UNIMARC-ის სახელმძღვანელოს დანართ F-ში.

(3) ველებისა და ქვეველების განმეორება

თუ სიტყვა “განმეორებადი” (repeatable) დაკავშირებულია რომელიმე ველთან, მაშინ ამ ველს ჩანაწერში შეიძლება ერთზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, ანუ ეს ველი რამდენჯერმე შეგვხვდეს ჩანაწერში. თუ R (= repeatable) დაკავშირებულია ქვეველის

იდენტიფიკატორთან, მაშინ ეს ქვეველი შეიძლება ერთზე მეტჯერ შეგვხვდეს ველის ერთი და იმავე მნიშვნელობაში.

(4) ქვეველების დალაგება

ქვეველების იდენტიფიკატორების მნიშვნელობებისათვის დალაგების განსაზღვრული რიგი არ არსებობს. ქვეველების იდენტიფიკატორებს მნიშვნელობები ენიჭებათ ქვეველების იდენტიფიკაციის მიზნით და არა მათი განლაგებისათვის ფაილში.

(5) შემავსებელი სიმბოლო

ბუნებრივია, საერთაშორისო გაცვლებისათვის უმჯობესია სრული ჩანაწერი შიგთავსის ყველა აღმნიშვნელით. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ შეუძლებელია ეროვნული ჩანაწერის გადაყვანა UNIMARC/Authorities-ის ფორმატში ისე, როგორც არის დაწესებული, შიგთავსის ყველა აღმნიშვნელით და სრული კოდირებული ინფორმაციით. ასეთი გაურკვევლობების მინიმიზაციის მიზნით, როდესაც ეს პრობლემა ეროვნული სააგენტოს გადასაწყვეტია, შემოღებულია ეგრეთ წოდებული “შემავსებელი სიმბოლო”, რომელიც დაისმის იმ ადგილებში, სადაც არ არსებობს დაწესებული ინფორმაცია. ეს სიმბოლოა “|” (ვერტიკალური ხაზი, პოზიცია 7/12 ISO 646-ში).

შემავსებელი სიმბოლო გამოიყენება, როდესაც კოდირებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას არ შეუძლია განსაზღვროს შიგთავსის აღმნიშვნელი ან კოდირებული ინფორმაციის კოდი. ის შეიძლება შემდეგ სიტუაციებში მოხდეს: i) კოდირებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაცია არ იყენებს მოცემული შიგთავსის აღმნიშვნელს ან არ ახდენს მოცემული ინფორმაციის კოდირებას, ii) კოდირებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია იყენებს მოცემული შიგთავსის აღმნიშვნელს ან ახდენს მოცემული ინფორმაციის კოდირებას, მაგრამ კონკრეტული ჩანაწერის შემთხვევაში არ იცის მათი ზუსტი მნიშვნელობა, iii) კოდირებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია იყენებს შიგთავსის აღმნიშვნელისა და კოდირებული ინფორმაციის მსგავს მნიშვნელობებს, მაგრამ შეუძლებელია მათი გადაყვანა UNIMARC/Authorities-ის ზუსტ ექვივალენტებში.

შემავსებელი სიმბოლოს გამოყენება შემდეგი წესებით ხდება: შემავსებელი სიმბოლო შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ არასავალდებულო ინდიკატორებისა და კოდირებული მონაცემების მნიშვნელობებისათვის. ამიტომ, შემავსებელი სიმბოლოს გამოყენება არ შეიძლება არც ჩანაწერის მარკერში და ცნობარში, არც ქვეველის იდენტიფიკატორის, არც პუნქტუაციის ნიშნების და არც სხვა სპეციალური ნიშნების ნაცვლად, რომლებიც ჩანაწერში შეტანილ მონაცემებშია გამოყენებული.

(6) კოდირებული მონაცემების მნიშვნელობები

ჩანაწერის მარკერში და კოდირებული მონაცემების ქვეველებში კოდირებული მნიშვნელობების მინიჭება შემდეგი შეთანხმებების საფუძველზე ხდება:

u – უცნობია. გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კოდები მინიჭებულია, მაგრამ მათი

შესაბამისი სპეციფიკური მნიშვნელობების განსაზღვრა შეუძლებელია.

v – კომბინაცია. გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პირველად ობიექტში გვხვდება

ინდივიდუალურ კოდირებულ მახასიათებელთა კომბინაცია.

x – გამოუყენებადია. გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მახასიათებელი არ შეესაბამება აღსაწერი პირველადი ობიექტის ტიპს.

y – არ არსებობს. გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კოდირებული მახასიათებელი არ

არსებობს აღსაწერ პირველად ობიექტში.

z – სხვა. გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კოდები მინიჭებულია და პირველადი

ობიექტის მახასიათებლები ცნობილია, მაგრამ არც ერთი განსაზღვრული კოდის მნიშვნელობა არ შეესაბამება.

| - შემავსებელი სიმბოლო. გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კოდები არ არის მინიჭებული.

(7) პუნქტუაცია

GARE-ში დაწესებული პუნქტუაცია არ გამოიყენება ქვევლების საზღვრებზე. GARE-ში დაწესებულია შემდეგი პუნქტუაცია: = (გამოიყენება პარალელური თავსათურებისათვის); <, >, «, » სიმბოლოები (გამოიყენება ტრასირების დროს); , და ; (გამოიყენება წყაროს არეში). პუნქტუაციის ყველა სხვა ნიშანი თავსათურებში, შენიშვნებში და ა.შ. გამოიყენება ჩანაწერის გამომშვებ ბიბლიოგრაფიულ სააგენტოში მიღებული პრაქტიკის შესაბამისად.

(8) ფორმატის გამოყენება

ავტორიტეტული აღწერილობის ჩანაწერები:

UNIMARC/Authorities-ის ფორმატი შემუშავებული იქმნა პირველ რიგში უნიფიცირებული თავსათურებისათვის შექმნილ ავტორიტეტული აღწერილობის ჩანაწერების გასაცვლელად. ამ ჩანაწერებში შეიძლება აგრეთვე შეტანილი იყოს ვარიანტული და დაკავშირებული თავსათურების ტრასირებები (როგორც მოცემულია GARE-ში, პუნქტი 0.3.1), საიდანაც ხდება მითითებითი აღწერილობების გენერირება კომპიუტერის ეკრანზე გამოსატანად. მე-4 ბლოკის ველები გამოიყენება “იხ.” მითითების ტრასირებისათვის, რომელიც შეიცავს ავტორიტეტული თავსათურის ვარიანტულ ფორმას. მე-5 ბლოკის ველები გამოიყენება “იხ. აგრეთვე” მითითების ტრასირებისათვის, რომელიც შეიცავს დაკავშირებულ უნიფიცირებულ თავსათურს. მითითებითი აღწერილობა შეიძლება იყოს გენერირებული ტრასირების გამოყენებით იმ სახით, როგორც იქნება სასურველი კომპიუტერის ეკრანზე გამოსატანად.

მაგალითები:

210 02\$aPittsburgh Research Center [უნიფიცირებული თავსათაური, როგორც ავტორიტეტული თავსათაური]

410 01\$aUnited States.\$bBureau of Mines.\$bPittsburgh Research Center [ვარიანტული თავსათაური, როგორც “იხ.” მითითების ტრასირება]

510 02\$5b\$aPittsburgh Mining and Safety Research Center [დაკავშირებული თავსათაური, როგორც “იხ. აგრეთვე” მითითების ტრასირება]

გამონაკლისს შემთხვევებში, მითითებები გადატანილია ავტორიტეტული აღწერილობის ჩანაწერში შენიშვნის სახით 305 ველში – “იხ. აგრეთვე” მითითების ტექსტური შენიშვნა. მითითებითი შენიშვნები კეთდება მაშინ, როდესაც მითითება მეტისმეტად რთულია მისი ადექვატური კონსტრუირებისათვის ერთი ან რამდენიმე ტრასირების დახმარებით. ყოველ ჩანაწერში, რომელიც შექმნილია 305-ე ველის შენიშვნაში მოხსენიებული თავსათაურებისათვის, მე-2 ბლოკის თავსათაური, ჩვეულებრივად, აგრეთვე ტრასირებულია როგორც “იხ. აგრეთვე” მითითების ტრასირება მე-5 ბლოკის ველში. ასეთ ტრასირებებს უნდა გააჩნდეს მითითების დახშობის კოდი \$5 ქვეველში იმისათვის, რომ დაახშოს მარტივი მითითებების ავტომატური გენერაცია, რადგანაც 305-ე ველის შენიშვნაში უკვე არსებობს ეს მითითება.

მაგალითები:

ჩანაწერი 1 (ავტორიტეტული აღწერილობის ჩანაწერი)

200 1\$aJapp\$bAlexander H.

305 0-1\$aFor works of this author written under pseudonyms,
see also\$bGray, E. Condor\$aand\$bPage, H.A.

[დაკავშირებული თავსათაურები “იხ. აგრეთვე” მითითებითი შენიშვნის ტექსტში]

ჩანაწერი 2 (ავტორიტეტული აღწერილობის ჩანაწერი)

200 1\$aGray,\$bE. Condor

500 1\$5z0\$aJapp,\$bAlexander H.

[დაკავშირებული თავსათაური, როგორც “იხ. აგრეთვე” მითითების ტრასირება დისპლეიზე გამოტანის დახშობით]

ჩანაწერი 3 (ავტორიტეტული აღწერილობის ჩანაწერი)

200 1\$aPage,\$bH.A.

500 1\$5z0\$aJapp,\$bAlexander H.

[დაკავშირებული თავსათაური, როგორც “იხ. აგრეთვე” მითითების ტრასირება დისპლეიზე გამოტანის დახშობით]

მითითებითი აღწერილობის ჩანაწერები:

მითითებითი აღწერილობის ჩანაწერები იქმნება ვარიანტული თავსათაურებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც “იხ.” მითითებები ისე რთულია, რომ მათი წარმოქმნა ავტორიტეტული აღწერილობის ჩანაწერებიდან “იხ.” მითითების ტრასირების გამოყენებით თითქმის შეუძლებელია. მითითებითი აღწერილობის

ჩანაწერი შეიცავს ვარიანტულ თავსათაურს მე-2 ბლოკის ველში და ტექსტურ “იხ.” მითითებით შენიშვნას 310 ველში. ყოველი უნიფიცირებული თავსათაურისათვის, რომელიც გვხვდება შენიშვნების 310 ველში ჩვეულებრივად იქმნება აგრეთვე ავტორიტეტული აღწერილობის ჩანაწერი, რომელშიც თავსათაური მე-2 ბლოკის ველიდან გამოიყენება როგორც “იხ.” მითითების ტრასირება მე-4 ბლოკის ველში. ასეთი ტრასირებანი ჩვეულებრივ უნდა შეიცავდეს მითითების დახშობის კოდს \$5 ქვეველში იმისათვის, რომ დაახშოს მარტივი მითითებების ავტომატური გენერირება, რომელნიც უკვე არსებობენ მითითებითი აღწერილობის ჩანაწერში.

მაგალითები:

ჩანაწერი 1 (მითითებითი აღწერილობის ჩანაწერი)

200 ✎ 1 \$aWhiting\$bMichael *[ვარიანტული თავსათაური, როგორც მითითებითი თავსათაური]*

310 0— ✎ \$Author writes under two pseudonyms,\$bFrost,Gardner\$bMoris,Craig *[“იხ.” მითითებითი შენიშვნის ტექსტი]*

ჩანაწერი 2 (ავტორიტეტული აღწერილობის ჩანაწერი)

200 ✎ 1 \$aFrost\$bGardner

400 ✎ 1 \$5z0\$aWhiting\$bMichael

[ვარიანტული თავსათაური, როგორც “იხ.” მითითების ტრასირება დისპლეიზე გამოტანის დახშობით]

ჩანაწერი 3 (ავტორიტეტული აღწერილობის ჩანაწერი)

200 ✎ 1 \$aMorris\$bCraig

400 ✎ 1 \$5z0\$aWhiting\$bMichael

[ვარიანტული თავსათაური, როგორც “იხ.” მითითების ტრასირება დისპლეიზე გამოტანის დახშობით]

ზოგადი განმარტებითი აღწერილობის ჩანაწერები

ზოგადი განმარტებითი აღწერილობის ჩანაწერები იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც განმარტებითი თავსათაურებიდან საჭიროა “იხ.” მითითებების შექმნა. ზოგადი განმარტებითი აღწერილობის ჩანაწერი შეიცავს განმარტებით თავსათაურს მე-2 ბლოკის ველში და 320 ველს - ზოგადი განმარტებითი მითითებითი შენიშვნა. მე-2 ბლოკის განმარტებითი თავსათაურის ტრასირება არ ხდება ავტორიტეტული აღწერილობის ჩანაწერში.

მაგალითი:

210 12\$aConference ... *[ზოგადი განმარტებითი თავსათაური]*

320 ✎ ✎ \$aConference proceedings are entered under the name of the conference, etc., or the title of the publication if the conference, etc., lacks a name. Thus, see also: Symposium ..., Workshop ..., etc. *[ზოგადი განმარტებითი მითითებითი შენიშვნა]*

პარალელური მონაცემები:

ვარიანტი 1

მოცემული ფორმატის ძირითადი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერი კატალოგისათვის უნდა აღიწეროს ყოველი თავსათაურის ერთი ფორმა და იმ ენაზე, რომელიც განსაზღვრულია მე-100 ველში. მოცემული კატალოგის ამ თავსათაურისათვის მითითებითი ტრასირებანი შეადგენენ მითითებათა სტრუქტურას.

თუ საკატალოგიზაციო სააგენტოს სჭირდება პარალელური კატალოგის შექმნა სხვა ენაზე, მას შეუძლია გამოიყენოს მე-2 ბლოკის ველებში მოთავსებული თავსათაურის პარალელური ან ექვივალენტური ფორმები ამ პარალელური თავსათაურის შესაბამის შენიშვნებსა და ტრასირებებთან ერთად. პარალელური თავსათაურის შენიშვნებისა და ტრასირებების სხვადასხვა ენებზე ჩაწერა ერთ ავტორიტეტულ ჩანაწერში არ არის რეკომენდირებული. ამ ფორმატის გამოყენებისას პარალელურ თავსათაურებს უნდა ჰქონდეთ ავტორიტეტული აღწერილობის განსხვავებული ჩანაწერები. ამ ჩანაწერებში ისინი წარმოადგენენ ავტორიტეტულ თავსათაურებს. მათი მითითებების სტრუქტურა ამ ჩანაწერების მე-4 და მე-5 ბლოკების მითითებათა ტრასირებების ველებში და მე-3 ბლოკის შენიშვნების ველებში უნდა ჩაიწეროს.

შევნიშნოთ, რომ როდესაც ეს პარალელური თავსათაურები მოყვანილია არა მარტო სხვადასხვა ენაზე, არამედ სხვადასხვა დამწერლობაშიც, მათი კოდირება ფორმატში ხდება ისევე პარალელური მონაცემების დამუშავების წესების მიხედვით. თუ თავსათაურები სხვადასხვა დამწერლობაშია, მაგრამ იმავე ენაზე, რომელიც გამოყენებულია მათ შესაბამის ველებში, მაშინ მათი დამუშავება ხდება ალტერნატიული დამწერლობის წესების მიხედვით.

ჩანაწერები, რომლებიც შექმნილია თავსათაურების წარმოსადგენად სხვადასხვა ენოვან კატალოგებში შესაბამის ენებზე, შეიძლება დაკავშირებულ იყოს ერთმანეთთან მე-7 ბლოკის კავშირის ველების გამოყენებით. ავტორიტეტული აღწერილობის ყოველ ჩანაწერში ყოველი პარალელური თავსათაური და მასთან დაკავშირებული ჩანაწერის ნომერი (ქვეველი §3) შეიძლება ჩაიწეროს მე-7 ბლოკის კავშირის ველებში.

მაგალითები:

ჩანაწერი 1

001 12345

210 02\$aNational Library of Canada

<შენიშვნები და ტრასირებანი ინგლისურ ენოვანი კატალოგისათვის >

710 02\$367890\$8fre\$aBibliothèque nationale du Canada

ჩანაწერი 2

001 67890

210 02\$aBibliothèque nationale du Canada

<შენიშვნები და ტრასირებანი ფრანგულ ენოვანი კატალოგისათვის >

710 02\$312345\$8eng\$aNational Library of Canada

ვარიანტი 2

ვარიანტი 1-ის ალტერნატიულია ვარიანტი 2, როდესაც საკატალოგიზაციო სააგენტო განიხილავს თავსათაურის პარალელურ ფორმებს მე-2 ბლოკის ველიდან, როგორც უბრალო ვარიანტებს ან მითითებებს, რომელთა ტრასირება ხდება მე-4 ან მე-5 ბლოკის ველებში ენის მითითებით ან მის გარეშე. ამ დროს პარალელური ფორმების მითითებების სტრუქტურის განსაზღვრება არ არის მოთხოვნილი და არ უნდა იყოს შეტანილი ჩანაწერში.

ამ ორი ვარიანტიდან ერთ-ერთის არჩევა დამოკიდებულია სააგენტოში დამკვიდრებულ პრაქტიკაზე.

მაგალითი:

215 **სსს** Sverige

415 **სსს** Sweden

415 **სსს** Shvetsiia

415 **სსს** Suède

ამ ფორმატში მნიშველობა აქვს არა თავსათაურის ენის იდენტიფიკაციას, არამედ იმ კატალოგის ენისა, რომელშიც შეტანილია თავსათაური. ამ გარემოების სასარგებლოდ ორი არგუმენტი არსებობს. თავსათაურის ენა შეიძლება არ ემთხვეოდეს კატალოგის ენას, რადგანაც კატალოგიზაციის წესების თანახმად ზოგიერთი თავსათაური ჩაიწერება არა კატალოგიზაციის ენაზე, არამედ თავსათაურის ორგინალის ენაზე. თავსათაურის ენა ამ დროს არ ემთხვევა მითითებათა სტრუქტურის ენას, რამაც მომხმარებელი შეიძლება შეცდომით მიიყვანოს იმ კატალოგთან, რომლის ენა ემთხვევა თავსათაურის ორგინალის ენას. გარდა ამისა, ზოგიერთ თავსათაურში მონაცემები რამდენიმე ენაზეა ჩაწერილი, რის ილუსტრაციასაც წარმოადგენს შემდეგი მაგალითი:

Italy. Ministero del bilancio e della programmazione economica

Catholic Church. Congregatio Sancti Officii Guillaume d' Auvergne, Bishop of Paris

ასეთი თავსათაურებისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს კატალოგის ენა, რომელშიც ისინი არიან მოთავსებული და არა ინფორმაცია იმ ენების შესახებ, რომლებშიც არიან ისინი ჩაწერილი ორგინალში.

მონაცემები ალტერნატიულ დამწერლობაში:

თუ რომელ დამწერლობაშია შესრულებული კატალოგიზაცია (ანუ რომელი დამწერლობით არის ჩაწერილი თავსათაურები, შენიშვნები, ტრასირებანი და სხვა) აღინიშნება ჩანაწერის მე-100 ველში. კატალოგიზაციის ზოგიერთ სააგენტოს სჭირდება, რომ თავსათაურები, შენიშვნები და ტრასირებანი ჩაწერილი იყოს რამდენიმე დამწერლობით, რადგანაც ჩანაწერში ერთი ენა შეიძლება იყოს წარმოდგენილი როგორც ტრანსლიტერირებული ფორმით ისე, რამოდენიმე დამწერლობაში (მაგალითად, კანა და კანი დამწერლობანი იაპონურ ენაში; დევანარგი, კხმერი და ლაო დამწერლობანი პალის ენაში). თავსათაურების,

შენიშვნებისა და ტრასირებათა წარმოდგენა ალტერნატიული დამწერლობების გამოყენებით შესაძლებელია თანაარსებობდეს ერთ ავტორიტეტულ ჩანაწერში, ისევე როგორც, ისინი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა, ერთმანეთთან დაკავშირებულ, ჩანაწერებში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თუ ალტერნატიული დამწერლობები გამოყენებულია თავსათაურის ენისაგან განსხვავებული ენისათვის, მაშინ მოქმედებენ პარალელური მონაცემების დამუშავების წესები.

როდესაც ჩანაწერში ალტერნატიული დამწერლობანი ერთდროულად არის წარმოდგენილი, მაშინ ალტერნატიული დამწერლობით წარმოდგენილი თავსათაურები ჩაიწერება მე-2 ბლოკის დამატებით ქვევლებში \$7 ქვევლის გამოყენებით, რაც მიუთითებს ამ დამწერლობის განსხვავებაზე მე-100 ველში გამოყენებული დამწერლობისაგან. შენიშვნები და ტრასირებანი ალტერნატიულ დამწერლობაში ჩაიწერება შესაბამისი ბლოკების განმეორებად ველებში. ერთიდაიგივე შენიშვნის ან ტრასირების წარმოდგენა სხვადასხვა დამწერლობაში უკავშირდება ერთმანეთს დამაკავშირებელი \$6 ქვევლის საშუალებით, ხოლო დამწერლობის იდენტიფიცირება ხდება \$7 ქვევლის საშუალებით.

მაგალითი:

100 \$a, სიმბოლოთა პოზიცია 21-22 = ba

215 **xx**\$aUnited States

215 **xx**\$7ca\$a

415 **xx**\$6a20\$aUSA

415 **xx**\$6a20\$7ca\$a

თუ ალტერნატიული დამწერლობები წარმოდგენილია სხვადასხვა ჩანაწერებში, მაშინ ეს ჩანაწერები უკავშირდება ერთმანეთს დამაკავშირებელი 7 ბლოკის ველებით, რომლებშიც წარმოდგენილი ინფორმაციის დამწერლობა განსხვავდება მე-2 ბლოკის ველების დამწერლობისაგან. მე-7 ბლოკის ველები შეიცავენ \$7 დამწერლობის ქვეველს. ავტორიტეტული ჩანაწერის ნომერი ალტერნატიულ დამწერლობაში წარმოდგენილი თავსათაურისათვის შეიძლება ჩაიწეროს მე-7 ბლოკის ველში.

მაგალითები:

ჩანაწერი 1

001 82-6290

200 **1**\$aGlinka,\$bMichail Ivanovich

<შენიშვნები და ტრასირებანი ლათინური დამწერლობის კატალოგში >

700 **1**\$382-3498\$7ca\$a

ჩანაწერი 2

001 82-3498

200 **1**\$a \$b

<შენიშვნები და ტრასირებანი კირილიკური დამწერლობის კატალოგში >

700 **1**\$382-6290\$7ba\$aGlinka,\$bMikhail Ivanovich

შედგენილი თავსათაურები:

UNIMARC/Authorities-ს ფორმატში ველების ჭდეების საშუალებით ხდება თავსათაურების ან მათი ნაწილების შემდეგი ტიპების აღნიშვნა: პერსონალური(ანუ

პიროვნების) სახელი, ორგანიზაციის/ღონისძიების სახელწოდება, გეოგრაფიული ან ტერიტორიული სახელწოდება, საგვარეულო სახელი, უნიფიცირებული სათაური, კოლექტიური სათაური და საგნობრივი (თემატური) რუბრიკა.

თუ თავსათაური შედგენილია სახელისაგან და სათაურისაგან, მაშინ ამ სახელისა და სათაურის ველები უნდა ჩაირთოს სპეციალურ სახელი/სათაურის ველში. ველების ჩართვის ტექნიკა მოცემულია მე-240 “თავსათაური – სახელი/სათაური” ველის აღწერაში. ველების ჩართვის ტექნიკის უფრო სრული აღწერა მოცემულია UNIMARC-ის სახელმძღვანელოში, რომელშიც მოცემული მე-4 ანუ აღწერილობათა კავშირის ბლოკის გამოყენების ტექნიკა ემთხვევა ზემოთხსენებულ ველების ჩართვის ტექნიკას.

თუ თავსათაური შედგენილია ტერიტორიის სახელისაგან, რომელსაც მოსდევს ორგანიზაციის ან ღონისძიების სახელწოდება, მაშინ ასეთი თავსათაური განიხილება როგორც ორგანიზაციის ან ღონისძიების სახელწოდება.

თუ თავსათაური შედგენილია სახელისაგან, სათაურისაგან ან საგნობრივი რუბრიკისაგან, რომელთაც მოსდევს საგნობრივი ქვედანაყოფები, მაშინ ეს საგნობრივი ქვედანაყოფები თავსთდება იმ სახელის, სათაურის ან საგნობრივი რუბრიკის შესაბამისი ველების \$x, \$y და \$z ქვეველებში, რომელთაც ისინი მოსდევენ. სახელი/სათაურის ტიპის აღწერილობებში საგნობრივი ქვედანაყოფები თავსთდება სათაურის ჩართულ ველში.

(9) ჩანაწერის შიგთავსის წარმოდგენის სქემა

ჩანაწერის შიგთავსი GARE-ში	შიგთავსის სფეროები განსაზღვრული
<i>ყველა ტიპის ჩანაწერებისათვის:</i>	
0- იდენტიფიკაციის ბლოკი	ISADN-ის (ავტორიტეტული მონაცემების საერთაშორისო სტანდარტული ნომრის) სფერო, თუ არსებობს
1- მმართველი ინფორმაციის ბლოკი	
8- ინფორმაციის წყაროს ბლოკი წყაროს	კატალოგიზატორის შენიშვნების სფერო, სფერო
<i>ავტორიტეტული აღწერილობის ჩანაწერისათვის:</i>	
(ჩანაწერის ტიპი = x)	
2- თავსათაურის ბლოკი (უნიფიცირებული თავსათაური)	ავტორიტეტული თავსათაურის სფერო
300 საინფორმაციო შენიშვნა	საინფორმაციო შენიშვნის სფერო
305 “იხ. აგრეთვე” მითითების ტექსტური შენიშვნა	საინფორმაციო შენიშვნის სფერო
4- “იხ.” მი თითების ტრასირების ბლოკი	“იხ.” მითითების ტრასირების სფერო

- | | |
|---|--|
| 5- “იხ. აგრეთვე” მითითების ტრასირების ბლოკი | “იხ. აგრეთვე” მითითების ტრასირების სფერო |
| 7- დამაკავშირებელი თავსათაურების ბლოკი | ავტორიტეტული თავსათაურის სფერო |

მითითებითი აღწერილობის ჩანაწერი:

(ჩანაწერის ტიპი = y)

- | | |
|---|---------------------------------|
| 2- თავსათაურის ბლოკი (ვარიანტული თავსათაური) | მითითებითი თავსათაურის სფერო |
| 300 საინფორმაციო შენიშვნა | საინფორმაციო შენიშვნის სფერო |
| 310 “იხ. აგრეთვე” მითითების ტექსტური შენიშვნა | უნიფიცირებული თავსათაურის სფერო |
| 7- დამაკავშირებელი თავსათაურების ბლოკი | მითითებითი თავსათაურის სფერო |

ზოგადი განმარტებითი აღწერილობის სფერო:

(ჩანაწერის ტიპი = z)

- | | |
|--|--------------------------------|
| 2- თავსათაურის ბლოკი (განმარტებითი თავსათაური) | განმარტებითი თავსათაურის სფერო |
| 320 ზოგადი განმარტებითი მითითებითი შენიშვნა | საინფორმაციო შენიშვნის სფერო |
| 7- დამაკავშირებელი თავსათაურების ბლოკი | განმარტებითი თავსათაურის სფერო |
-

(10) შესატყვისობა UNIMARC/Authorities-სა და UNIMARC-ს შორის

თავსათაურების ველები UNIMARC/Authorities-ში	თავსათაურების გამოყენება UNIMARC-ის ველებში
200 პერსონალური სახელი	700, 701, 702 4- ჩართული 700-ით, 701-ით, 702-ით 600 604 ჩართული 700-ით, 701-ით, 702-ით
210 ორგანიზაციის ან ღონისძიების სახელწოდება	710, 711, 712 4- ჩართული 710-ით, 711-ით, 712-ით 601 604 ჩართული 710-ით, 711-ით, 712-ით
215 ტერიტორიული ან გეოგრაფიული სახელი	710, 711, 712 4- ჩართული 710-ით, 711-ით, 712-ით 607 604 ჩართული 710-ით, 711-ით, 712-ით

220	საგვარეულო სახელი	720, 721, 722 4- ჩართული 720-ით, 721-ით, 722-ით 602 604 ჩართული 720-ით, 721-ით, 722-ით
230	სათაური	500 4- ჩართული 500-ით 605
240	სახელი და სათაური (ჩართული 200, 210, 215 ან 220 და 230)	4- ჩართული 7-ით და 500-ით 604 ჩართული 7-ით და 500-ით 7- 500
245	სახელი და კოლექტიური სათაური (ჩართული 200, 210, 215 ან 220 და 235)	4- ჩართული 7-ით და 501-ით 604 ჩართული 7-ით და 501-ით 7- 501
250	საგნობრივი რუბრიკა	606

**(11) ავტორიტეტულ და მითითებით აღწერილობათა გამოტანა
კომპიუტერის ეკრანზე**

ავტორიტეტულ და მითითებით აღწერილობათა კომპიუტერის ეკრანზე გამოტანის მოქნილობისა და GARE-ში დაშვებული ვარიანტების უზრუნველსაყოფად შეიძლება იყოს გამოყენებული მონაცემთა კოდირების შემდეგი მეთოდები.

(ა) ტრასირებანი დაყოფილია ორ ჯგუფად: “იხ.” მითითებითი ტრასირებები მე-4 ბლოკის

ველებში და “იხ. აგრეთვე” მითითებითი ტრასირებანი მე-5 ბლოკის ველებში. ამ ველების

ქდეების პირველი სიმბოლო მიუთითებს > და >> სიმბოლოების გამოყენების აუცილებლობაზე მითითებითი აღწერილობის გამოსატანად ეკრანზე შესაბამისად მე-4 და

მე-5 ბლოკებისათვის. ავტორიტეტული აღწერილობების ეკრანზე გამოტანის დროს კი

უნდა იყოს გამოყენებული < და << სიმბოლოები შესაბამისად მე-4 და მე-5 ბლოკებისათვის.

(ბ) ურთიერთკავშირის კოდი ტრასირების კონტროლის \$5 ქვეველში შეიძლება იყოს გამოყენებული ველში იმისათვის, რომ კოდირებული ფორმით ხდებოდეს აღნიშვნა

რამდენიმე სტანდარტული ურთიერთკავშირისა, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს ტრასირებას ჩანაწერის მე-2 ბლოკის თავსათაურთან. ეს კოდები იძლევა მითითებით და

ავტორიტეტულ აღწერილობებში არსებული სპეციფიური ურთიერთკავშირების ინფორმაციის ეკრანზე გამოტანის საშუალებას. ვინაიდან ტექსტური მითითებითი ინფორმაციის გენერირება კოდის საფუძველზე დამოკიდებულია სისტემაზე, ამიტომ

სპეციფიკური ურთიერთკავშირი ან ინსტრუქცია შეიძლება გამოტანილ იყოს კომპიუტერის ეკრანზე იმ ენაზე, რომელსაც აირჩევს მომხმარებელი(მომღები). ეს ურთიერთკავშირი ან ინსტრუქცია გამოიტანება კომპიუტერის ეკრანზე >, >>, < და <<

სიმბოლოების დამატებით და არა მათ ნაცვლად.

(გ) თუ რომელიმე კონკრეტული ურთიერთკავშირი ჩანაწერის მე-2 ბლოკის თავსათაურსა და

ტრასირებას შორის არ განისაზღვრება \$5 ქვეველის კოდის მნიშვნელობით, მაგრამ წარმოადგენს ცალსახა ურთიერთკავშირს, მაშინ ინსტრუქცია ტექსტური სახით ჩაიწერება

\$0 “ინსტრუქციული ფრაზის” ქვეველში. ვინაიდან ინსტრუქცია ტექსტური სახითაა, იმ

სააგენტოებს, რომელთაც არ შეუძლიათ ამ ინსტრუქციის გამოყენება ინსტრუქციის ენის

გამო, შეუძლიათ გამოტოვონ ის ეკრანზე მითითებითი და ავტორიტეტული აღწერილობების გამოტანისას, რადგან >, >>, < და << სიმბოლოები, რომლებიც ნაკლები

სიზუსტით გამოხატავენ ურთიერთკავშირებს, მაინც იქნება გენერირებული ველის ჯდიდან.

თუ \$0 ქვეველი მოყვანილია ურთიერთკავშირის კოდის შემცველ \$5 ქვეველთან ერთად,

მაშინ უმჯობესია ინსტრუქციის გამოტანა ეკრანზე \$0 ქვეველიდან, თუ ის არა არის

მიუღებელი ენის ან სხვა მიზეზის გამო.

(დ) თუ ურთიერთკავშირი მითითებასა და მითითებულ თავსათაურს შორის წარმოადგენს

მრავალი-ერთთან მიმართებას ან რაიმე სხვა რთულ ურთიერთკავშირს, რაც ამ მითითების (ტრასირებასთან ერთად) საინფორმაციო შენიშვნის სახით წარმოდგენის

სურვილს იწვევს, მაშინ შეიძლება გამოყენებულ იქნას მე-3 შენიშვნების ბლოკი. ვარიანტული თავსათაურები, საიდანაც კეთდება მითითება და უნიფიცირებული თავსათაურები, რაზეც კეთდება მითითება, უნდა მოყვანილ იქნან აგრეთვე

როგორც

ტრასირებები შესაბამის ავტორიტეტულ ჩანაწერებში. ეს საშუალებას მისცემს იმ სააგენტოებს, რომლებიც ვერ იყენებენ საინფორმაციო შენიშვნებს, გამოიტანონ ეკრანზე

(ნაკლები სიზუსტით) მითითებითი ინფორმაცია მე-4 და მე-5 ბლოკების ველებში არსებული ტრასირებების საშუალებით.

განმარტებითი შენიშვნები

მოცემული ფორმატის ტექსტში გამოყენებულია შემდეგი შეთანხმებები.

(1) დოლარის ნიშანი (\$) გამოყენებულია როგორც ქვეველის იდენტიფიკატორის პირველი

სიმბოლო ISO2 ნიშნის მაგივრად ISO646 სტანდარტიდან.

(2) სიმბოლო ჰ გამოიყენება მაგალითებში ცარიელი სიმბოლოს აღსანიშნავად.

(3) ველის გამყოფის სიმბოლო მაგალითებში იგულისხმება და ცხადად არ არის ნაჩვენები.

(4) ფრაზა “არ არის განსაზღვრული” ინდიკატორის პოზიციასთან მიმართებაში ნიშნავს, რომ

ინდიკატორის ამ პოზიციას მნიშვნელობა არა აქვს მინიჭებული.

(5) R სიმბოლო გამოიყენება ველის განმეორადობის (repeatable) აღსანიშნავსდ, ხოლო NR

აღნიშნავს რომ ველი არ არის განმეორებადი.

(6) ვინაიდან იგულისხმება, რომ UNIMARC/Authorities უნდა იყოს გამოყენებული UNIMARC-ის სახელმძღვანელოსთან ერთად, ამიტომ ქვეველების მონაცემთა აღწერილობა თავსათაურებისათვის აქ არ არის მოყვანილი. UNIMARC-ის სახელმძღვანელოში მოყვანილია ქვეველების დეტალური აღწერა

მრავალრიცხოვან

მაგალითებთან ერთად.

(7) ზოგიერთი ქვეველის შესავსებად საჭიროა გამოყენებულ იყოს კოდირებათა სისტემები

შემუშავებული სხვა ორგანიზაციების მიერ. კოდირების ეს ნუსხები მოყვანილია UNIMARC-ის სახელმძღვანელოს დანართებში:

დანართი A: ენების კოდები

დანართი B: ქვეყნების კოდები

დანართი C: მიმართებათა კოდები

დანართი D: გეოგრაფიული კოდები

დანართი G: საგნობრივი სისტემების კოდები

დანართი H: საკატალოგიზაციო წესები

დანართი J: სიმბოლოთა სიმრავლეები

ველების ნუსხა

ქვემოთ მოყვანილია ამ ფორმატში განსაზღვრული ყველა ველი:

001 ჩანაწერის იდენტიფიკატორი

005 ვერსიის იდენტიფიკატორი

015 ავტორიტეტული მონაცემების საერთაშორისო სტანდარტული ნომერი

100 საერთო დამუშავების მონაცემები

150 კოდირებული მონაცემების ველი სახელებისათვის

- 152 წესები
- 154 კოდირებული მონაცემების ველი უნიფიცირებული სათაურებისათვის
- 160 გეოგრაფიული კოდები
- 200 თავსათაური – პერსონალური სახელი
- 210 თავსათაური – ორგანიზაციის სახელი
- 215 თავსათაური – ტერიტორიული ან გეოგრაფიული სახელი
- 220 თავსათაური – საგვარეულო სახელი
- 230 თავსათაური – უნიფიცირებული სათაური
- 235 თავსათაური – კოლექტიური უნიფიცირებული სათაური
- 240 თავსათაური – სახელი/სათაური
- 245 თავსათაური – სახელი/კოლექტიური უნიფიცირებული სათაური
- 250 თავსათაური – საგნობრივი რუბრიკა
- 300 საინფორმაციო შენიშვნა
- 305 ტექსტური “იხ.აგრეთვე” მითითებითი შენიშვნა
- 310 ტექსტური “იხ.” მითითებითი შენიშვნა
- 320 ზოგადი განმარტებითი მითითებითი შენიშვნა
- 330 ზოგადი შენიშვნა მოქმედების არის შესახებ
- 400 “იხ.” მითითებითი ტრასირება – პერსონალური სახელი
- 410 “იხ.” მითითებითი ტრასირება – ორგანიზაციის სახელი
- 415 “იხ.” მითითებითი ტრასირება – ტერიტორიული ან გეოგრაფიული სახელი
- 420 “იხ.” მითითებითი ტრასირება – საგვარეულო სახელი
- 430 “იხ.” მითითებითი ტრასირება – უნიფიცირებული სათაური
- 440 “იხ.” მითითებითი ტრასირება – სახელი/სათაური
- 445 “იხ.” მითითებითი ტრასირება – სახელი/კოლექტიური უნიფიცირებული სათაური
- 450 “იხ.” მითითებითი ტრასირება – საგნობრივი რუბრიკა
- 500 “იხ. აგრეთვე” მითითებითი ტრასირება – პერსონალური სახელი
- 510 “იხ. აგრეთვე” მითითებითი ტრასირება – ორგანიზაციის სახელი
- 515 “იხ. აგრეთვე” მითითებითი ტრასირება – ტერიტორიული ან გეოგრაფიული სახელი
- 520 “იხ. აგრეთვე” მითითებითი ტრასირება – საგვარეულო სახელი
- 530 “იხ. აგრეთვე” მითითებითი ტრასირება – უნიფიცირებული სათაური
- 540 “იხ. აგრეთვე” მითითებითი ტრასირება – სახელი/სათაური
- 545 “იხ. აგრეთვე” მითითებითი ტრასირება – სახელი/კოლექტიური უნიფიცირებული
- სათაური
- 550 “იხ. აგრეთვე” მითითებითი ტრასირება – საგნობრივი რუბრიკა
- 675 უნივერსალური ათობითი კლასიფიკაცია (უდკ)
- 676 დიუის ათობითი კლასიფიკაცია (დდკ)

- 680 კონგრესის ბიბლიოთეკის კლასიფიკაცია (ლკკ)
- 686 სხვა კლასიფიკაციის ინდექსი

- 700 დაკავშირებული თავსათაური – პერსონალური სახელი
- 710 დაკავშირებული თავსათაური – ორგანიზაციის სახელი
- 715 დაკავშირებული თავსათაური – ტერიტორიული ან გეოგრაფიული სახელი
- 720 დაკავშირებული თავსათაური – საგვარეულო სახელი
- 730 დაკავშირებული თავსათაური – უნიფიცირებული სათაური
- 740 დაკავშირებული თავსათაური – სახელი/სათაური
- 745 დაკავშირებული თავსათაური – სახელი/კოლექტიური უნიფიცირებული სათაური
- 750 დაკავშირებული თავსათაური – საგნობრივი რუბრიკა

- 801 ჩანაწერის წარმოშობის წყარო
- 810 წყარო, სადაც იყო მოპოვებული ინფორმაცია თავსათაურის შესახებ
- 815 წყარო, სადაც არ იყო მოპოვებული ინფორმაცია თავსათაურის შესახებ
- 820 ინფორმაცია თავსათაურის გამოყენების შესახებ
- 825 შენიშვნაში მოყვანილი მაგალითი
- 830 კატალოგიზატორის ზოგადი შენიშვნა

ფორმატი

ჩანაწერის მარკერი

ჩანაწერის მარკერის შედგენა ხდება ISO 2709-ის დებულებების მიხედვით.

ფიქსირებული სიგრძის მქონე მონაცემთა ელემენტების ნუსხა:

მონაცემთა ელემენტის სახელწოდება	სიმბოლოთა რაოდენობა	სიმბოლოთა პოზიცია
(1) ჩანაწერის სიგრძე	5	0-4
(2) ჩანაწერის სტატუსი	1	5
(3) განხორციელების კოდი	4	6-9
(4) ინდიკატორის სიგრძე	1	10
(5) ქვეველის იდენტიფიკატორის სიგრძე	1	11
(6) მონაცემთა საბაზისო მისამართი	5	12-16
(7) ჩანაწერის დამატებითი განსაზღვრება	3	17-19
(8) ცნობარის რუკა	4	20-23

- (1) ჩანაწერის სიგრძე (სიმბოლოთა პოზიციები 0-4)
 ხუთი ათობითი ციფრი, გასწორებული (შევსებული) მარჯვნიდან ნულებით.
- (2) ჩანაწერის სტატუსი (სიმბოლოს პოზიცია 5)
 კოდები:
 c = შესწორებული ან გადასინჯული ჩანაწერი
 d = მოცილებული ჩანაწერი
 n = ახალი ჩანაწერი
- (3) განხორციელების კოდები (სიმბოლოთა პოზიციები 6-9)
 (ა) ჩანაწერის ტიპი (სიმბოლოს პოზიცია 6)
 კოდები:
 x = ავტორიტეტული ჩანაწერი
 y = მითითებითი ჩანაწერი
 z = ზოგადი განმარტებითი ჩანაწერი
 (ბ) არ არის განსაზღვრული (სიმბოლოთა პოზიციები 7-9). სამი ცარიელი სიმბოლო.
- (4) ინდიკატორის სიგრძე (სიმბოლოს პოზიცია 10)
 ერთი ათობითი ციფრი (UNIMARC/Authorities ფორმატისათვის მისი მნიშვნელობა = 2).
- (5) ქვეველის იდენტიფიკატორის სიგრძე (სიმბოლოს პოზიცია 11)
 ერთი ათობითი ციფრი (UNIMARC/Authorities ფორმატისათვის მისი მნიშვნელობა = 2).
- (6) მონაცემთა საბაზისო მისამართი (სიმბოლოთა პოზიციები 12-16)
 ხუთი ათობითი ციფრი, რომლებიც გასწორებულია მარჯვნიდან წინმსწრები ნულებით,
 რომლებიც მიუთითებენ მონაცემთა ველის პირველ პოზიციაზე ჩანაწერის დასაწყისთან შედარებით.
- (7) ჩანაწერის დამატებითი განსაზღვრება (სიმბოლოთა პოზიციები 17-19)
 (ა) კოდირების დონე (სიმბოლოს პოზიცია 17)
 ერთსიმბოლოიანი კოდი, რომელიც მიუთითებს მანქანური ჩანაწერის სისრულის დონეზე.
 განსაზღვრულია შემდეგი კოდები (სხვები შესაძლებელია დაემატოს მოგვიანებით):
 ზ = სრულია (ე.ი. ჩანაწერი შეიცავს ყველა სავალდებულო მონაცემს გამოყენებულ ტრასირებათა ჩათვლით).
 3 = ნაწილობრივია (ე.ი. ჩანაწერი არ შეიცავს სავალდებულო მონაცემებს სრულად,
 ვინაიდან შესაბამისი საცნობო სამუშაო არ არის ჯერ შესრულებული).
 (ბ) არ არის განსაზღვრული (სიმბოლოთა პოზიციები 18-19). ორი ცარიელი სიმბოლო.
- (8) ცნობარის რუკა (სიმბოლოთა პოზიციები 20-23)
 (ა) ცნობარის ყოველი სტატიის ნაწილის – “ველის სიგრძის” სიგრძე (სიმბოლოს პოზიცია 20)

ერთი ათობითი ციფრი (UNIMARC/Authorities ფორმატისათვის მისი მნიშვნელობა = 4).

(ბ) ცნობარის ყოველი სტატიის ნაწილის – “საწყისი სიმბოლოს პოზიციის” სიგრძე (სიმბოლოს პოზიცია 21)

ერთი ათობითი ციფრი (UNIMARC/Authorities ფორმატისათვის მისი მნიშვნელობა = 5).

(გ) არ არის განსაზღვრული (სიმბოლოთა პოზიციები 22-23). ორი ცარიელი სიმბოლო.

ცნობარი

ჩანაწერის ცნობარის სტატიები შედგენა ხდება ISO 2709-ის სპეციფიკაციების მიხედვით და მათი განლაგება ხდება ჭდის პირველი სიმბოლოს ზრდის მიხედვით.

0-- ჩანაწერის იდენტიფიკაციის ბლოკი

ეს ბლოკი შეიცავს ჩანაწერისა და მისი ვერსიების საიდენტიფიკაციო ნომრებს. განსაზღვრულია შემდეგი ველები:

001 ჩანაწერის იდენტიფიკატორი

005 ვერსიის იდენტიფიკატორი

015 ავტორიტეტული მონაცემების საერთაშორისო სტანდარტული ნომერი

001 ჩანაწერის იდენტიფიკატორი

ეს ველი შეიცავს ჩანაწერის მაკონტროლებელ ნომერს, რომელსაც ანიჭებს ჩანაწერს მისი შემქმნელი, გამავრცელებელი ან მომხმარებელი ორგანიზაცია.

ეს ველი არ არის განმეორებადი და მას არა აქვს ველის ინდიკატორები და ქვეველის იდენტიფიკატორები.

მაგალითი:

001 78-34279

001 n-82-003762-8

005 ვერსიის იდენტიფიკატორი

ეს ველი შეიცავს 16 სიმბოლოს, რომლებიც მიუთითებენ ჩანაწერის ბოლო დამუშავების თარიღს და დროს. თარიღის ჩაწერა ხდება ISO 2014-ის თანახმად, ხოლო დროის ჩაწერა - ISO 3307-ის თანახმად. თარიღისთვის გამოყოფილია რვა

ციფრული სიმბოლოსგან შემდგარი ველის ნაწილი (4 წელიწადისათვის – 4, თვისათვის – 2 და დღისათვის – 2). დროისათვის აგრეთვე გამოყოფილია რვა ციფრული სიმბოლოსგან შემდგარი ველის ნაწილი (საათისათვის – 2, წუთისათვის – 2, წამისათვის – 2 და 2 წამის მეათედ ნაწილისათვის წერტილის ჩათვლით).

ეს ველი არ არის განმეორებადი და მას არა აქვს ველის ინდიკატორები და ქვეველის იდენტიფიკატორები.

მაგალითი:

1 სექტემბერი, 1981, 2:12:36 P.M. (14 საათი, 12 წუთი, 36 წამი):
005 19810901141236.0

015 ავტორიტეტული მონაცემების საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISADN) შემონახულია ISADN-სათვის.

1-- კოდირებული ინფორმაციის ბლოკი

ეს ველი შეიცავს კოდირებული მონაცემების ველებს. მონაცემები ამ ველებში ჩვეულებრივად განისაზღვრება სიმბოლოს პოზიციით ქვეველში. თუ ველში არ არის მოყვანილი ყველა მონაცემი, მაშინ გამოტოვებულ მონაცემთა ელემენტების პოზიციებში ჩაიწერება შემავსებელი სიმბოლოები. განსაზღვრულია შემდეგი ველები:

- 100 საერთო დამუშავების მონაცემები
- 150 კოდირებული მონაცემების ველი სახელებისათვის
- 152 წესები
- 154 კოდირებული მონაცემების ველი უნიფიცირებული სათაურებისათვის (დროებითი)
- 160 გეოგრაფიული კოდები

100. საერთო დამუშავების მონაცემები – სავალდებულო (მონაცემთა მხოლოდ ზოგიერთი ელემენტისათვის)

ეს ველი შეიცავს ძირითად კოდირებულ მონაცემებს, რომლებიც გამოიყენება ყველა ავტორიტეტული ჩანაწერისათვის. გამოტოვებულ მონაცემთა ელემენტების პოზიციებში ჩაიწერება შემავსებელი სიმბოლოები.

ეს ველი არ არის განმეორებადი, ინდიკატორები არ არის განსაზღვრული და ის შეიცავს ცარიელ სიმბოლოებს.

ქვეველის იდენტიფიკატორი

ქვეველი

კომენტარი

\$a	საერთო დამუშავების მონაცემები	NR
-----	-------------------------------	----

ფიქსირებული სიგრძის მქონე მონაცემთა ელემენტების ნუსხა:

მონაცემთა ელემენტის სახელწოდება პოზიცია	სიმბოლოთა რაოდენობა	სიმბოლოთა
(1) ფაილში შეტანის თარიღი (სავალდებულო)	8	0-7
(2) ავტორიტეტული თავსათაურის კოდის სტატუსი	1	8
(3) კატალოგიზაციის ენა (სავალდებულო)	3	9-11
(4) ტრანსლიტერაციის კოდი	1	12
(5) სიმბოლოთა სიმრავლე (სავალდებულო)	4	13-16
(6) დამატებით სიმბოლოთა სიმრავლე	4	17-20
(7) კატალოგიზაციის დამწერლობა	2	21-
22		

(1) ფაილში შეტანის თარიღი (სავალდებულო). (სიმბოლოთა პოზიციები 0-7)

რვა რიცხვითი სიმბოლო, რომლებიც იძლევიან ჩანაწერის შეტანის თარიღს სისტემაში და მიუთითებენ ჩანაწერის შექმნის სიახლეზე. ბეჭდვითი შეცდომების გასწორების ან რედაქტირების შემთხვევაში თარიღი არ უნდა შეიცვალა.

თარიღი დაყოფილია სამ ქვე-ელემენტებად. პირველი ქვე-ელემენტი შედგება ოთხი სიმბოლოსაგან და წარმოადგენს წელს. თითოეული მომდევნო ორი ქვე-ელემენტებისაგან შედგება 2 სიმბოლოსაგან და წარმოადგენს შესაბამისად წელს და დღეს.

მაგალითი:

5 ოქტომბერი, 1967: 19671005

(2) ავტორიტეტული თავსათაურის კოდის სტატუსი (სიმბოლოს პოზიცია 8)

ერთსიმბოლოანი ანბანური კოდი, რომელიც განსაზღვრავს ავტორიტეტული აღწერილობის ჩანაწერში თავსათაურის დადგენის დონეს (სტატუსს). შენიშვნა: მონაცემთა ეს ელემენტი არ უნდა იყოს არეული ჩანაწერის მარკერის მე-17 ბაიტთან (კოდირების დონესთან, რომელიც ეხება მთელი ჩანაწერის სისრულეს).

a = დადგენილია (ე.ი. თავსათაურია დადგენილი)

c = დროებითია (ე.ი. შეუძლებელია თავსათაურის დანამდვილებით დადგენა არაადექვატური

ინფორმაციის გამო; ასეთი თავსათაურის შემდგომი გამოყენების დროს ის თავიდან

უნდა იყოს განხილული დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე)

x = გამოყენებელია (ე.ი. ჩანაწერი წარმოადგენს მითითებითი აღწერილობის ჩანაწერს ან ზოგადი განმარტებითი აღწერილობის ჩანაწერს და ამიტომ, ჩანაწერის მე-2 ბლოკის თავსათაურის ველი შეიცავს ვარიანტულ თავსათაურს).

(3) კატალოგიზაციის ენა (სავალდებულო). (სიმბოლოთა პოზიციები 9-11)

სამსიმბოლოიანი კოდი, რომელიც მიუთითებს თუ რომელი ენაა გამოყენებული კატალოგიზაციის დროს. თავსათაური მე-2 ბლოკის ველში ჩაიწერება იმ ენაზე, რომელიც განისაზღვრება ამ კოდით. ასევე, ნებისმიერი შენიშვნები და საინსტრუქციო ინფორმაცია უნდა იყოს ჩაწერილი ამ კოდით განსაზღვრულ ენაზე. ამ პოზიციებში გამოიყენება UNIMARC-ის სახელმძღვანელოს დანართი A-ს ენების კოდები.

თვითონ თავსათაური შეიძლება მოყვანილი იყოს კატალოგიზაციის ენისაგან განსხვავებულ ენაზე. მაგალითად, კატალოგიზაციის ზოგიერთი წესების მიხედვით უნიფიცირებული სათაური ფრანგული ანონიმური ნაწარმოებებისათვის დადგენილია ფრანგულ ენაზე, მიუხედავად იმისა, თუ რომელია კატალოგიზაციის ენა.

(4) ტრანსლიტერაციის კოდი (სიმბოლოს პოზიცია 12)

ერთსიმბოლოიანი კოდი, რომელიც მიუთითებს თუ რომელი ტრანსლიტერაციის სისტემით არის ჩაწერილი თავსათაური ჩანაწერის მე-2 ბლოკის ველში.

a = ISO-ს ტრანსლიტერაციის სქემა

b = სხვა

c = ტრანსლიტერაციის რამდენიმე სქემა: ISO და სხვები

y = ტრანსლიტერაციის სქემა არ გამოიყენება

(5) სიმბოლოთა სიმრავლე (სავალდებულო). (სიმბოლოთა პოზიციები 13-16)

ამ ოთხ პოზიციაში ჩასმული სიმბოლოები მიუთითებენ გრაფიკული სიმბოლოების ძირითად სიმრავლეებზე, რომლებიც გამოყენებულია ჩანაწერში. 13-14 პოზიციები განკუთვნილია G0 სიმრავლისათვის, ხოლო 15-16 პოზიციები G1 სიმრავლისათვის. თუ G1 სიმრავლე არ არის გამოყენებული, მაშინ 15-16 პოზიციები შევსებულია ცარიელი სიმბოლოებით.

01 = ISO 646, IRV ვერსია (ლათინური ანბანის სიმბოლოების ძირითადი სიმრავლე)

02 = ISO სარეგისტრაციო ნომერი=37 (კირილიკური ანბანის სიმბოლოების ძირითადი სიმრავლე)

03 = ISO 5426 (ლათინური ანბანის სიმბოლოების გაფართოვებული სიმრავლე)

04 = ISO 5427 (კირილიკური ანბანის სიმბოლოების გაფართოვებული სიმრავლე)

05 = ISO 5428 (ბერძნული ანბანის სიმბოლოების სიმრავლე)

06 = ISO 6438 (აფრიკული ენების კოდირებული სიმბოლოების სიმრავლე)

მაგალითები:

მონაცემების გადაცემა წარმოებს 8-ბიტთან კოდში ლათინური ანბანის სიმბოლოების G0 ISO 646 სიმრავლისა და ლათინური ანბანის სიმბოლოების გაფართოვებული G1 ISO 5426 სიმრავლის გამოყენებით: 0103

მონაცემების გადაცემა წარმოებს 8-ბიტთან კოდში ძირითადი და გაფართოვებული კირილიკური სიმბოლოების სიმრავლეთა გამოყენებით: 0204

მონაცემების გადაცემა წარმოებს 7-ბიტთან კოდში მხოლოდ ISO 646-ის გამოყენებით: 01~~xx~~

(6) დამატებით სიმბოლოთა სიმრავლე (სიმბოლოთა პოზიციები 17-20)

ორი ორსიმბოლოიანი კოდი, რომლებიც მიუთითებენ გრაფიკულ სიმბოლოთა არა უმეტეს ორ დამატებით სიმრავლეზე და გამოიყენება ჩანაწერის გადაგზავნისას. ეს იგივე კოდებია, რომლებიც გამოიყენება 13-16 პოზიციებში. 17-18 პოზიციები განკუთვნილია G2 სიმრავლისათვის, ხოლო 19-20 პოზიციები – G3 სიმრავლისათვის. თუ სიმბოლოთა დამატებითი სიმრავლეები არ არის საჭირო, მაშინ ეს ბაიტები შევსებულია ცარიელი სიმბოლოებით. (UNIMARC-ის სახელმძღვანელოს J დანართში აღწერილია ოპერაცია სიმბოლოთა ოთხზე მეტ სიმრავლესთან წვდომის უზრუნველსაყოფად.) თუ სიმბოლოთა დამატებითი სიმრავლეები არ გამოიყენება, მაშინ ეს ოთხი პოზიცია შევსებულია ცარიელი სიმბოლოებით.

(7) კატალოგიზაციის დამწერლობა (სიმბოლოთა პოზიციები 21-22)

ორსიმბოლოიანი კოდი, რომელიც მიუთითებს კატალოგიზაციაში გამოყენებულ დამწერლობაზე. თავსათაური მე-2 ბლოკის ველში, ისევე როგორც ნებისმიერი შენიშვნები და საინსტრუქციო ინფორმაცია უნდა იყოს მოყვანილი ამ დამწერლობაში.

ba = ლათინური

ca = კირილიკა

da = იაპონური – დამწერლობა არ არის განსაზღვრული

db = იაპონური – კანოი

dc = იაპონური – კანა

ea = ჩინური

fa = არაბული

ga = ბერძნული

ha = ებრაული

ia = თაიური

ja = დევანაგარი

ka = კორეული

la = თამილური

zz = სხვა

150. კოდირებული მონაცემების ველი სახელებისათვის

როდესაც მე-2 ბლოკის ველში თავსათაური წარმოადგენს ორგანიზაციის, ღონისძიების ან გეოგრაფიულ სახელს, მაშინ კოდირებული მონაცემების ველი გამოიყენება დამატებითი ინფორმაციის წარმოსადგენად ამ სახელებისათვის.

ეს ველი არ არის განმეორებადი, ინდიკატორები არ არის განსაზღვრული და ის შეიცავს ცარიელ სიმბოლოებს.

ქვეველის იდენტიფიკატორი	ქვეველი	კომენტარი
\$a	დამუშავების მონაცემების სახელი	NR

ფიქსირებული სიგრძის მქონე მონაცემთა ელემენტების ნუსხა:

მონაცემთა ელემენტის სახელწოდება პოზიცია	სიმბოლოთა რაოდენობა	სიმბოლოთა რაოდენობა
(1) სამთავრობო ორგანიზაციის ტიპი	1	0

(1) სამთავრობო ორგანიზაციის ტიპი (სიმბოლოს პოზიცია 0)

ერთსიმბოლოიანი კოდი, რომელიც მიუთითებს რომ თავსათაური წარმოადგენს სამთავრობო ორგანიზაციის სახელს. (აკადემიური დაწესებულებები არ განიხილება როგორც სამთავრობო ორგანიზაციები.)

a = ფედერალური/ეროვნული

b = შტატი/პროვინცია

c = ოლქი/საგრაფო/დეპარტამენტი

d = ადგილობრივი (მუნიციპალური და ა.შ.)

e = მრავალ-ადგილობრივი (ტერიტორიათაშორისო, ეროვნული დონის ქვევით)

f = მთავრობათაშორისო

g = განდევნილი ან არალეგალური მთავრობა

h = დონე არ არის განსაზღვრული

u = დონე არ არის ცნობილი

y = არა სამთავრობო ორგანიზაცია

z = სხვა სამთავრობო დონე

152. წესები

ეს ველი განსაზღვრავს წესების სისტემას, რომლის მიხედვითაცაა ფორმულრებული 2--თავსათაური და მითითებების სტრუქტურა.

ეს ველი არ არის განმეორებადი, ინდიკატორები არ არის განსაზღვრული და ის შეიცავს ცარიელ სიმბოლოებს.

ქვეველის იდენტიფიკატორი	ქვეველი	კომენტარი
\$a	კატალოგირების წესები	NR
\$b	საგნობრივი სისტემა	NR

\$a ქვეველი განსაზღვრავს თავსათაური/მითითება სტრუქტურის კატალოგირების წესებს. ეს ველი გამოითენება იმ შემთხვევებში, როდესაც წესები მოქმედებს სახელებზე, დასახელებებზე და სახელ/დასახელებებზე. კატალოგირების წესების განსაზღვრავათ იყენებენ კოდებს *UNIMARC Manual*-ის H დამატებიდან ან წერენ წესის სრულ სახელს. ევრანზე გამოტანისას კოდები შეიძლება გამოვიყენოთ აბრევიატურების გენერირებისას, რომლებიც მოყვანილია GARE-ის C დამატებაში.

\$b ქვეველი განსაზღვრავს საგნობრივ სისტემას, რომელიც გამოიყენება სათაური/მითითება სტრუქტურის ფორმირებისას. ქვეველი უმთავრესად გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც წესებს ვიყენებთ ან თემატური რუბრიკების ფორმირებისას ან სახელების და სათაურების თემატურ რუბრიკებად ფორმირებისას. ზოგიერთ სისტემაში თავსათაური/მითითება სტრუქტურა შეიძლება განისაზღვროს კატალოგირების წესებით, მაგრამ გამოყენებული იყოს საგნობრივ სისტემაში. ასეთ შემთხვევებში მოცემული უნდა იყოს კატალოგიზირების კოდები და საგნობრივი სისტემები, რომელშიც გამოიყენება რუბრიკა განსაზღვრული კატალოგიზაციის წესებით. საგნობრივი სისტემის განსაზღვრავად გამოიყენება ან კოდები, რომლებიც მოცემულია *UNIMARC Manual*-ის G დამატებაში ან სისტემის სრული დასახელებები.

მაგალითები:

- 152 **\$aAACR2\$b**lc
- 200 **\$1\$Shai,\$bMordekhai**

- 152 **\$b**lc
- 250 **\$aRed River Valley (Minn. and N.D. –Man.)**

- 152 **\$aAACR2\$b**lc
- 200 **\$1\$Wagner,\$bRichard,\$f1813-1883\$xPictorial works**

- 152 **\$aAACR2\$b**caf
- 230 **\$1\$Serie d’etudes de la reglementation gouvernementales**

- 152 **\$aAACR2**
- 215 **\$aCaylon**

154. კოდირებული მონაცემების ველი უნიფიცირებული თავსათაურებისათვის.

როდესაც 2-- ველში მოყვანილი თავსათაური უნიფიცირებული თავსათაურია, მაშინ 154 ველი შეიძლება გამოვიყენოთ თავსათაურის შესახებ დამატებითი ინფორმაციის ჩასაწერად.

ეს ველი არ არის განმეორებადი, ინდიკატორები არ არის განსაზღვრული და ის შეიცავს ცარიელ სიმბოლოებს.

ქვეველის იდენტიფიკატორი	ქვეველი	კომენტარი
\$a	სათაურის დამუშავების მონაცემები	NR

ფიქსირებული სიგრძის მქონე მონაცემთა ელემენტების ნუსხა:

მონაცემთა ელემენტის სახელწოდება	სიმბოლოთა რაოდენობა	სიმბოლოთა პოზიცია
(1) სერიების კოდების ტიპი	1	0

(1) სერიების კოდების ტიპი (სიმბოლოს პოზიცია 0)

ერთსიმბოლოიანი კოდი განსაზღვრავს სერიების კოდს, როდესაც თავსათაური უნიფიცირებული სერიის დასახელებაა.

a= მონოგრაფიული სერიები

b= მრავალნაწილიანი ერთეული (მაგ. კომპლექტი, პარტიტურა და მისი ნაწილები, მრავალტომიანი მონგრაფია)

c= მცდარი სერია (როგორც ასეთი არაა სერია)

z= სხვა

160. გეოგრაფიული კოდები

ამ ველში იწერება გეოგრაფიული ადგილმდებარეობის კოდი თუ გეოგრაფიული ადგილმდებარეობა დაკავშირებულია თავსათაურთან. კოდი შედგება შვიდი ალფაბეტური სიმბოლოსგან, რომლებიც ერთმანეთისაგან დეფისებითაა გამოყოფილი და რამდენადაც შესაძლებელია უზრუნველყოფს იერარქიულ დაყოფას გეოგრაფიულ და პოლიტიკურ კატეგორიებად. გეოგრაფიული დასახელებების კოდები მოცემულია *UNIMARC Manual*-ის D დამატებაში.

ეს ველი არ არის განმეორებადი, ინდიკატორები არ არის განსაზღვრული და ის შეიცავს ცარიელ სიმბოლოებს.

ქვეველის იდენტიფიკატორი	ქვეველი	კომენტარი
\$a	გეოგრაფიული ადგილმდებარეობის კოდი	R

მაგალითი:

თავსათაურის კოდი, რომელიც დაკავშირებულია ინგლისთან შემდეგნაირად იქნება კოდირებული:

16 ~~h~~\$ae-uk-en
0

საკონტროლო ქვეველები

თავსათაურზე, მითითებაზე და შენიშვნაზე დამატებითი ინფორმაციის მისათითებლად გამოიყენება შემდეგი საკონტროლო ქვეველები.

- \$0 ინსტრუქციული ტექსტი
- \$2 საგნობრივი სისტემის კოდი
- \$3 ავტორიტეტულ/ნორმატიული ჩანაწერის ნომერი
- \$5 ტრასირების კონტროლი
- \$6 ველთაშორისი კავშირის მონაცემები
- \$7 ხელნაწერის კოდი
- \$8 კატალოგიზაციის ენა

ეს ველები განისაზღვრება ყველა 2-- თავსათაურისათვის 4--, 5-- კავშირებისათვის და 6-- დაკავშირებული თავსათაურის ველებისათვის. ეს ველები გარკვეულ შემთხვევებში გამოიყენება ამიტომ შესაძლოა ზოგიერთ ბლოკებში არ შეგვხვდეს. ყოველი ბლოკის აღწერაში მითითებულია თუ რომელი ქვეველები შეიძლება გამოვიყენოთ მოცემული ბლოკისათვის. როდესაც ზემოთ მოყვანილ ქვეველებს ვიყენებთ რაიმე ველში, მაშინ ეს ქვეველები სხვა ქვეველების წინ უნდა ჩავწეროთ.

\$0 ინსტრუქციული ტექსტი

ეს ქვეველი შეიცავს სპეციალურ შესავალ ფრაზას, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ, როდესაც ჭდეს ვიყენებთ, როგორც მითითებას. ეს ინსტრუქციების ფრაზა შეიძლება გამოვიყენოთ \$5 ქვეველის (კავშირის კოდი) მაგიერ ან ამ ქვეველის დამატება. ინსტრუქციების ფრაზა შეიძლება აგამოვიყენოთ 4-- და 5-- ბლოკების ჭდეების მიმთითებელ ველებთან. დამატებითი ინფორმაციისათვის ასეთი ველების შესახებ იხ. გამოყენების სახელმძღვანელო (11), მიმთითებლები და ავტორიტეტული აღწერილობა.

მაგალითი:

- 200 ~~h~~\$aOrwell,\$bGeorge
- 400 ~~h~~\$0ამ ავტორის ნამუშევრების სანახავად იხ. მისი ფსევდონიმი:\$aBlair,\$bEric

Athur

ეკრანზე გვექნება შემდეგი:
Blair, Eric Arthur

ავტორის ნამუშევრების სანახავად იხ. მისი ფსევდონიმი: > Orwell, George

შენიშვნა: ეს ინსტრუქციული ტექსტი საშუალებას გვაძლევს მომხმარებელს გავაცნოთ 200 თავსათაური მითითებაში, რომელიც გენერირდება მითითების ტრასირებაში.

\$2 საგნობრივი სისტემის კოდი

ეს ქვეველი განსაზღვრავს თუ რომელ საგნობრივ სისტემას ეკუთვნის ჭდე ან თავსათაური შემდეგ შემთხვევებში: (1) როდესაც ეს უკანასკნელი განსხვავდება ჩანაწერის თავსათაურისაგან, რომელიც განისაზღვრება 152 ველის \$b ქვეველში. (2) თემატური რუბრიკის ტრასირება, ისეთ ავტორიტეტულ/ნორმატიულ ჩანაწერზე, რომელიც არ გამოიყენება თემატურ რუბრიკად. როგორც წესი თემატური რუბრიკა და მისი ტრასირება საგნობრივი სისტემის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც 152 ველის \$b ქვეველში განისაზღვრება. ხოლო სხვა სისტემებიდან აღებული რუბრიკები შესაძლოა გამოვიყენოთ, როგორც ჭდეების ტრასირებები სხვადასხვა სისტემებს შორის კავშირის დასამყარებლად.

საგნობრივი სისტემის კოდი შეიძლება გამოვიყენოთ 4-- , 5-- ჭდეების ტრასირებების ველებში და 7-- დაკავშირებული თავსათაურების ველებში. გამოიყენება ცვლადი სიგრძის ალფაბეტური კოდი, რომლის მაქსიმალური სიგრძე 7 სიმბოლოა. კოდები და ინსტრუქციები ამ კოდების მოისანიჭებლად იხ. *UNIMARC Manual*-ის G დამატება.

მაგალითი:

152 **bb**\$b1c
250 **bb**\$aDentures
550 **bb**\$2mesh\$aDental prosthesis

\$3 ავტორიტეტულ/ნორმატიული ჩანაწერის ნომერი

ეს ქვეველი განსაზღვრავს ჩანაწერს, რომლის ქვეველში მოთავსებული თავსათაური არის ჩანაწერის თავსათაური. იგი შეიძლება გამოვიყენოთ 5-- “იხლ ასევე” მითითების ტრასირებისას 4-- “იხ.” მითითების ტრასირებისას და 6-- დაკავშირებული თავსათაურების შემთხვევაში. 5-- და 6-- ველებში დაკავშირებული ჩანაწერი არის ავტორიტეტული აღწერილობის კომპიუტერული ჩანაწერის თავსათაური.

4-- “იხ.” მითითების ტრასირების ველებში დაკავშირებული ჩანაწერი არის მითითებითი აღწერილობის კომპიუტერული ჩანაწერი, რომელიც გამოიყენება 4-- ველებიდან ეკრანზე გამოსატანი ინფორმაციის გენერაციისას.

\$3 ქვეველი შეიძლება გამოვიყენოთ 4-- ბლოკის ველებში იმ შემთხვევაში თუ ეს ველები შეიცავენ \$5 ქვეველს (ტრასირების კონტროლი) რომლის პირველ პოზიციაშიც (მითითების აკრძალვის კოდი) წერია ნული (მითითების აკრძალვა)

მაგალითი:

\$5 ტრასირების კონტროლი

ეს ქვეველი შეიცავს ფიქსირებულ პოზიციებზე მოთავსებულ კოდირებულ ელემენტებს, რომლებიც საჭიროა 4-- და ან-- მითითებების ტრასირების ეკრანზე გამოსატანად. თუ მოცემული ველისათვის არაა საჭირო დამატებითი ინსტრუქციები მაშინ ამ ველისათვის კონტროლის ქვეველების გამოყენება საჭირო არ არის. თუ ეს ქვეველი გამოიყენება მაშინ მის ფიქსირებულ პოზიციებზე მდგომი ყველა ელემენტი შესაბამისად უნდა იყოს კოდირებული, ამასთან არცერთი მათგანი არ უნდა იყოს გამოტოვებული. დასაშვებია ცარიელი სიმბოლოების გამოყენება. ქვეველის ბოლოს ცარიელი სიმბოლოები შეიძლება გამოვტოვოთ.

თუ არ არის საჭირო რაიმე სპეციალური კავშირების დამყარება ან მითითებების აკრძალვა მაშინ \$5 ქვეველი არ გა მოიყენება. თუ მხოლოდ კავშირის დამყარება საჭირო, მაშინ \$5 ქვეველში იქნება მხოლოდ ერთი სიმბოლო (ნულოვან პოზიციაზე) თუ საჭიროა მხოლოდ მითითების აკრძალვა მაშინ ნულოვან პოზიციაზე იქნება ცარიელი სიმბოლო. თუ ორივე საჭიროა მაშინ ქვეველის ორივე პოზიციაში იქნება საჭირო მნიშვნელობა.

\$5 ქვეველისათვის განსაზღვრულია ფიქსირებული სიგრძის მქონე მონაცემთა ელემენტების ნუსხა:

მონაცემთა ელემენტის სახელწოდება	სიმბოლოთა რაოდენობა	სიმბოლოთა პოზიცია
(1) კავშირის კოდი	1	0
(2) მითითების აკრძალვის კოდი	1	1

(1) კავშირის კოდი(ნულოვანი პოზიცია)

ერთსიმბოლოიანი ალფაბეტური კოდი, რომელიც განსაზღვრავს განსაკუთრებულ კავშირს ტრასირებასა და 2-- ჩანაწერის თავსათაურ შორის. ველში მითითების ტრასირების ეკრანზე გამოტანისას კავშირის კოდი გამოიყენება ინსტრუქციების ფორმირებისათვის (როგორც ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია). ინსტრუქციების ფრაზა დამოკიდებულია იმაზე თუ რა სახის კავშირზეა საუბარი. კავშირის კოდის მნიშვნელობა შეიძლება გამოვიყენოთ, როდესაც ეკრანზე გამოგვაქვს ავტორიტეტული აღწერილობა. (იხ. ქვემოთ მოყვანილი მაგალითი). მართალია ჩანაწერის ეკრანზე გამოტანისას სპეციალური ფრაზა ფაკულტატიურია, მაგრამ სწორე არ იქნება > ან >> ინსტრუქციების ამ ფრაზის გარეშე გამოყენება.

კავშირის კოდის გამოყენება შეიძლება 4-- და 5-- ბლოკების მითითებათა ტრასირების ველებში. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. გამოყენების სახელმძღვანელო (11) მითითებითი და ავტორიტეტული აღწერილობის ეკრანზე გამოტანა.

განსაზღვრულია კოდების შემდეგი მნიშვნელობები:

- a = ადრეული თავსათაური
- b = მოგვიანებითი თავსათაური

- d = აკრონიმი
- e = ფსევდონიმი
- f = ნამდვილი სახელი
- g = უფრო ფართო ცნება
- h = უფრო ვიწრო ცნება
- z = სხვა.

მოვიყვანოთ იმ ინსტრუქციების ფრაზების მაგალითები, რომლებიც ფორმირებულია კავშირის კოდებიდან:

კავშირის კოდი და ინფორმაცია	კავშირის	ეკრანზე მითითებების ინსტრუქციების ფრაზა 4-- ბლოკის ველებისათვის	გამოსატანი	ეკრანზე მითითებების ინსტრუქციების ფრაზა 4-- ბლოკის ველებისათვის	გამოსატანი
a= თავსათაური	ადრეული	იხ. სათაურით	მოგვიანებითი	იხ. ასევე	მოგვიანებითი სათაურით
b= თავსათაური	მოგვიანებითი	იხ. ადრეული სათაურით		იხ. ასევე	ადრეული სათაურით
d= აკრონიმი		იხ. უფრო ფორმით	გაფართოებული	იხ. ასევე	უფრო გაფართოებული ფორმით
e=ფსევდონიმი		იხ. სახელით	ავტორის ნამდვილი სახელით	იხ. ასევე	ავტორის ნამდვილი სახელით
f= ნამდვილი სახელი		იხ. ფსევდონიმით		იხ. ასევე	ფსევდონიმით
g= უფრო ფართო ცნება		იხ. უფრო ვიწრო ცნების ქვეშ		იხ. ასევე	ფრო ვიწრო ცნების ქვეშ
h= უფრო ვიწრო ცნება		იხ. უფრო ფართო ცნების ქვეშ		იხ. ასევე	უფრო ფართო ცნების ქვეშ

მაგალითი: ავტორიტეტული აღწერილობის ჩანაწერი

- 210 02\$Doueding Savings Bank
- 510 02\$5a\$Otago Saving Bank

ეკრანზე დაიბეჭდება შემდეგი:
 Doueding Savings Bank
 << Otago Saving Bank (ადრეული თავსათაური)

შენიშვნა:

\$5 ქვეველში მოთავსებული a კოდი საჭიროა კავშირის ინფორმაციის ეკრანზე გამოსატანად. (ადრეული თავსათაური) - არის კავშირის ინფორმაცია.

იგივენაირად
 Otago Saving Bank
 იხ. ასევე მოგვიანებითი თავსათაურით: Doueding Savings Bank

(2) მითითების აკრძალვის კოდი (პირველი პოზიცია)

ერთსიმბოლოანი ალფაბეტური კოდი, რომელიც მიუთითებს იმას, რომ ტრასირებისას მითითება არ უნდა შესრულდეს ავტომატურად, იმის გამო, რომ ავტორიტეტულ ჩანაწერში არსებობს ან თავსათაურისათვის 305 მითითებითი შენიშვნა ან ამ თავსათაურისათვის 310 მითითებითი შენიშვნასთან ერთად არსებობს გამოყოფილი მითითებითი შენიშვნა. ორივე შემთხვევაში მოითხოვება, რომ მხოლოდ მითითების შენიშვნის ფორმა იყოს გამოყენებული ეკრანზე გამოტანისას.

0=მითითების აკრძალვა

მაგალითი:

ჩანაწერი 1 (მითითებითი აღწერილობის ჩანაწერი)

210 02\$aParibas

310 0\$b\$aVoir au\$bGroupe Paribas\$aet a sa compagnie holding de controle la\$bCompagnie financiere de Paribas\$aainsi qa'a ses filiales

ჩანაწერი 2 (ავტორიტეტული აღწერილობის ჩანაწერი)

210 02\$aGroupe Paribas

300 0\$b\$aGroupe multinational constitue par: la Compagnie financiere de Paribas, societe holding de controle du Groupe; un ensemble de banques; de nombreuses participations, en particuulier dans des entreprises industrielles et commerciales, regroupees dans des societes holding specialisees

410 02\$5z\$aParibas

ჩანაწერი 3 (ავტორიტეტული აღწერილობის ჩანაწერი)

210 02\$aCompagnie financiere de Paribas

300 0\$b\$aSociete holding de controle du Groupe Paribas. Nationalisee en 1982

410 02\$5z\$aParibas

იხ. ასევე 305 ველის მაგალითი 1.

\$6 ველთაშორისი კავშირის მონაცემები

ამ ველში მოთავსებულია ინფორმაცია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, რომ მოცემული ველი დავაკავშიროთ ჩანაწერის სხვა ველებს. ველებს, რომელთაც ვაკავშირებთ ერთმანეთთან უნდა ჰქონდეთ \$6 ქვეველი. ეს ქვეველი ასევე შეიცავს კოდს, რომელიც ხსნის ველების ერთმანეთთან დაკავშირების მიზეზს. (ქვეველის გამოყენებისას ყოველთვის აუცილებელია მის პირველ და მეორე პოზიციებზე მოთავსებულ ელემენტებს ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა. მესამე პოზიციაზე მდგომი ელემენტის გამოყენება ჩვენი შეხედულებისამებრ შეგვიძლია ან მივუთითოთ ან არა). ქვეველის პირველ და მეორე პოზიციებზე მდგომი ელემენტები აუცილებელია, ხოლო მესამე ფაკულტატიური.

ეს ქვეველი შეიძლება გამოყენებულ იქნას 3-- ინფორმაციულ დანართში ან 4-- , 5-- ტრასირების ველებში.

\$6 ქვეველისათვის განსაზღვრულია ფიქსირებული სიგრძის მქონე მონაცემთა ელემენტების ნუსხა:

მონაცემთა ელემენტის სახელწოდება	სიმბოლოთა რაოდენობა	სიმბოლოთა პოზიცია
(1) კავშირის განმსაზღვრელი კოდი	1	0
(2) კავშირის ნომერი	2	1-2
(3) დაკავშირებული ველის ჭდე	3	3-5

(1) კავშირის განსაზღვრელი კოდი (სიმბოლოს პოზიცია 0).

ეს კოდი განსაზღვრავს ველთა შორის კავშირის დამყარების საჭიროების მიზეზს.

a - ალტერნატიული სკრიპტი (ხელნაწერი)

z - სხვა.

(2) კავშირის ნომერი. (სიმბოლოების პოზიციები - 1 -2)

ეს ორნიშნა რიცხვი უნდა იყოს ორივე დასაკავშირებელი ჩანაწერის 16 ქვეველში. მისი ერთადერთი დანიშნულება ის არის, რომ ცალსახად განსაზღვროს დასაკავშირებელი ველები.

რიცხვი შეიძლება ნებისმიერად აირჩეს მთავარია ორივე დასაკავშირებელ ველში ერთიდაიგივე რიცხვი ეწეროს. და ეს იყოს უნიკალური ამ კონკრეტული ველებისათვის.

(3) დაკავშირებული ველების ჭდე (პოზიცია 3 - 5)

მონაცემთა ეს ელემენტი მიუთითებს იმ ველის ჭდეზე, რომელთანაც ვაკავშირებთ მოცემულ ველს. ეს მონაცემთა ელემენტი ჩანაწერში არაა აუცილებელი. თუ ველის ჭდე, რომელთანაც ვაკავშირებთ, იგივეა რაც ველის ჭდე, რომელსაც ვაკავშირებთ, მაშინ 3 - 5 პოზიციაში არაფერი არ იწერება.

მაგალითი:

100 \$a, 21-22 პოზიციებზე იწერება: ba

200 ზ1\$aAndo,\$bSizno

200 ზ1\$7db\$a

400 ზ1\$6a03\$aKato,\$bYasuzo

400 ზ1\$6a03\$7db\$a

400 ზ1\$6a25\$aTakai,\$bSyozo

400 ზ1\$6a25\$7db\$a

\$7 ეს ქვეველი განსაზღვრავს თუ რა დამწერლობაშია ველში მოთავსებული მონაცემები, როდესაც თავსათაური, ტრარირება ან შენიშვნა სხვადასხვა დამწერლობითაა მოცემული.

მაგალითად, როდესაც იაპონური იწერება კანჯიში ან კანაში ან ჰერბუ ჰერბიუმი ან რომაულში.

\$7 ქვეველის გამოყენება შესაძლოა 2 - თავსათაურებთან, 3 - ინფორმაციულ შენიშვნებთან, 4 - და 5 - ტრარირებებთან ან 7 - დაკავშირებულ თავსათაურებთან.

თუ ველში მითითებული არ არის \$7 ქვეველი, მაშინ ამ ველის დამწერლობა იქნება დამწერლობა, რომელიც განსაზღვრულია 100 ველის 21 - 22 პოზიციებზე. თუ გვაქვს ერთზე მეტი 2- თავსათაური, მაშინ დამატებითი თავსათაურები იქნება ალტერნატიულ დამწერლობებში, ასეთი ველები უნდა შეიცავდნენ \$7 ქვეველს, რომელიც განსაზღვრავს მოცემული ველის დამწერლობას. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. გამოყენების სახელმძღვანელო (8) ალტერნატიული დამწერლობის მონაცემები.

ორ სიმბოლოანი ალფაბეტური კოდი განსაზღვრავს თავსათაურის დამწერლობას, როდესაც ჩანაწერში გვაქვს იდენტური თავსათაური ოლონდ განსხვავებული დამწერლობით.

გამოყენება კოდების შემდეგი მნიშვნელობები:

ba = ლათინური

ca = კირილიკა

da = იაპონული – დამწერლობა არ არის განსაზღვრული

db = იაპონური – კანიი

dc = იაპონური – კანა

ea = ჩინური

fa = არაბული

ga = ბერძნული

ha = ებრაული

ia = თაიური

ja = დევანაგარი

ka = კორეული

la = თამილური

zz = სხვა

მაგალითი:

100 \$a, 21-22 პოზიციებზე იწერება: ba

210 02\$aNihon Tosyokan Kyokai,\$bSizno

210 02\$7db\$a[Korporate name in Japanese kanji]

\$8 კატალოგირების ენა

ამ ქვეველში იწერება თაბსათაურის ან ტრარირების ენა თუ ეს უკანასკნელი განსხვავდება 100 ველში გაჩუმებით არჩეული ენისაგან. ეს ქვეველი შეიძლება გამოვიყენოთ 4- ტრარირებისა და 7- დაკავშირებული ველებისათვის. იხ. გამოყენების სახელმძღვანელო (8). პარალელური მონაცემები დამატებითი ინფორმაციისათვის.

სამ სიმბოლოანი ალფაბეტური კოდი განსაზღვრავს კატალოგის ენას, რომელ ენაზეც უნდა თავსათაურები. გამოყენებული უნდა იყოს UNIMARC-ის ენების კოდები. ეს კოდების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ UNIMARC MANUAL- ის A დამატებაში.

მაგალითი:

- 100 \$a, 9-11 პოზიციებზე იწერება: fre
- 210 01\$aCanada,\$bGroupe de travail du Ministre sur la protection des enfants en cas d'accidents de vehicules automobiles
- 710 01\$8eng\$aCanada.\$bMinister's Task Force on Crash Protection for Infant and Child Passengers in Motor Vechiles

2 - თავსათაურების ბლოკი

ეს ბლოკი შეიცავს თავსათაურს, რომლისათვისაც იქმნება ჩანაწერი. ეს თავსათაური იქმნება უნიფიცირებული თუ ჩანაწერი არის ავტორიტრტული ჩანაწერი და ვარიანტული თავსათაური თუ ჩანაწერი არის მითითებითი აღწერილობის კომპიუტერული ჩანაწერი ან ზოგადი განმარტებითი აღწერილობის ჩანაწერი.

2 -- ბლოკის ველები შეიძლება განმეორდეს 2 -- თავსათაურებისათვის სხვადასხვა დამწერლობაში.

თუ ალტერნატიული დამწერლობის ფორმა უკავშირდება განცალკევებულ ჩანაწერს, რომელიც შეიცავს ალტერნატიულ ფორმას, როგორც 2-- საჭირო აღნიშვნებით და ტრასირებით ამ დამწერლობაში, მაშინ ალტერნატიულ დამწერლობაში ჩაწერილი თავსათაური უნდა მოთავსდეს ჩანაწერის 2-- ველში.

\$4 ქვეველი "კავშირის კოდი" ემატება სახელების ველებს იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ზოგიერთ შემთხვევაში თავსათაურებში სახელი/დასახელება. კავშირების კოდები იხ. *UNIMARC Manual*-ის C დამატებაში.

ქვემოთ მოყვანილი ქვეველების გამოყენება შეიძლება ასევე თავსათაურების ველებში 4--, 5-- და 7-- ბლოკებში. როდესაც განვიხილავთ ამ ბლოკებს, აღარ გავიმეორებთ ქვეველების მნიშვნელობას და გავაკეთებთ მიმართვას 2-- ბლოკის ქვეველებზე.

იმის გამო, რომ ზოგიერთ ბლოკს არ აქვს \$0 \$2 \$3 \$5 \$6 \$7 \$8 მაკონტროლებელი ქვეველები, ამიტომ ამ ბლოკების შესავალ პარაგრაფში მოყვანილია იმ ქვეველების ჩამონათვალი, რომლების გამოყენებაც შეიძლება მოცემულ ბლოკში.

დაწვრილებითი ახსნა მონაცემთა თავსათაურების ქვეველების შესახებ მოყვანილია *UNIMARC Manual*-ის 7-- ბლოკში.

2-- ბლოკის ველებში შეიძლება მხოლოდ \$7 ქვეველის გამოყენება. განსაზღვრულია შემდეგი ველები

- 200 თავსათაური – პერსონალური სახელი
- 210 თავსათაური – ორგანიზაციის სახელი
- 215 თავსათაური – ტერიტორიული ან გეოგრაფიული სახელი
- 220 თავსათაური – საგვარეულო სახელი
- 230 თავსათაური – უნიფიცირებული სათაური
- 235 თავსათაური – კოლექტიური უნიფიცირებული სათაური
- 240 თავსათაური – სახელი/სათაური
- 245 თავსათაური – სახელი/კოლექტიური უნიფიცირებული სათაური
- 250 თავსათაური – საგნობრივი რუბრიკა

მაგალითი:

- 100 \$a, character positions 9-11 = fre

- 210 01\$Canada.\$bGroupe de travail du Ministre sur la protection des enfants en cas d'accidents de vehicules automobiles
- 710 01\$8eng\$Canada.\$bMinister's Task Force on Crash Protection for Infant and Child Passengers in Motor Vechiles.

200 - თავსათაური – პერსონალური სახელი

ეს ველი შეიცავს პიროვნების სახელს.

ველი განმეორებადია ალტერნატიული დამწერლობის ფორმებისათვის, პირველი ინდიკატორი არ არის განსაზღვრული და ის შეიცავს ცარიელ სიმბოლოს.

მეორე ინდიკატორი განსაზღვრავს თუ რა ფორმითაა შეტანილი პიროვნების სახელი.

- 0 პიროვნების სახელი შედის საკუთარი სახელით ა პირდაპირი მიმდევრობით.
- 1 პიროვნების სახელი შედის გვართ.

ქვეელის იდენტიფიკატორი	ქვეელი	კომენტარი
\$a	შესატანი მნიშვნელობა	NR
\$b	სახელის ნაწილი	NR
\$c	განმასხვავებელი ნიშნები (თარიღები არა)	R
\$d	რომაული ციფრები	NR
\$f	თარიღები	NR
\$g	ინიციალების გაშლა	NR
\$4	კავშირის კოდი	R
\$x	თემატური ქვესათაური	R
\$y	გეოგრაფიული ქვესათაური	R
\$z	ქრონოლოგიური ქვესათაური	R

საკონტროლო ქვეელები

\$0	ინსტრუქციული ტექსტი (4-- 5--)	R
\$2	საგნობრივი სისტემის კოდი (4-- 5-- 7--)	NR
\$3	ავტორიტეტულ/ნორმატიული ჩანაწერის ნომერი (4-- 5-- 7--)	NR
\$5	ტრასირების კონტროლი (4-- 5-- 7--)	NR
\$6	ველთაშორისი კავშირის მონაცემები (4-- 5--)	R
\$7	ხელნაწერის კოდი (2-- 4-- 5-- 7--)	NR
\$8	კატალოგიზაციის ენა (4-- 7--)	NR

მაგალითები:

- 200 ზ1\$aHorne,\$bDonald,\$f1921-
- 200 ზ0\$aAlexander,\$dI,\$cEmperor of Russia,\$f1771-1825
- 200 ზ1\$aRiano y Montero,\$bJuan Facundo,\$f1828-1901
- 200 ზ1\$aTolkien,\$bJ.R.R.\$g(John Ronald Reuel)\$f1892-1973

210 - თავსათაური – ორგანიზაციის სახელი

ეს ველი შეიცავს თავსათაურს, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის დასახელებას. ისეთი ტერიტორიის დასახელება, რომელსაც როგორც თავსათაურის შემადგენელი ნაწილი მოყვება ორგანიზაციის დასახელება ვიხილავთ როგორც ორგანიზაციის დასახელებას (210 ველი). ტერიტორიის დასახელებები როგორც ასეთი ან მხოლოდ საგნობრივი ქვეგანყოფილებებით განიხილება, როგორც ტერიტორიის დასახელება (215 ველი).

ველი განმეორებადია ალტერნატიული დამწერლობის ფორმებისათვის. პირველი ინდიკატორი განსაზღვრავს ორგანიზაციის ტიპს.

- 0 ორგანიზაციის დასახელება
-
- 1 ღონისძიების დასახელება
-

მეორე ინდიკატორი განსაზღვრავს თუ რა ფორმითაა შეტანილი დასახელება.

- 0 დასახელება ინვერსიული ფორმით
-
- 1 დასახელება შეტანილია ადგილმდებარეობის ან იურისდიქციის მიხედვით
-
- 2 დასახელება შეტანილია სახელით ან პირდაპირი ფორმით
-

ქვეველის იდენტიფიკატორი	ქვეველი	კომენტარი
\$a	შესატანი მნიშვნელობა	NR
\$b	სტრუქტურული ქვედანაყოფი	R
\$c	დამატებითი სახელი ან განმსაზღვრელი	R
\$d	ღონისძიების ნომერი ან ღონისძიების ნაწილის ნომერი	R
\$e	ღონისძიების ადგილმდებარეობა	NR
\$f	ღონისძიების თარიღი	NR
\$h	თავსათაურის ნაწილი, რომელიც განსხვავდება აღწერილობისაგან ან ინვერტირებული ელემენტი	R
\$g	ინვერტირებული ელემენტი	NR
\$4	კავშირის კოდი	R
\$x	თემატური ქვესათაური	R
\$y	გეოგრაფიული ქვესათაური	R
\$z	ქრონოლოგიური ქვესათაური	R

საკონტროლო ქვეველები

\$0	ინსტრუქციული ტექსტი (4-- 5--)	R
\$2	საგნობრივი სისტემის კოდი (4-- 5-- 7--)	NR
\$3	ავტორიტეტულ/ნორმატიული ჩანაწერის ნომერი (4-- 5-- 7--)	NR
\$5	ტრასირების კონტროლი (4-- 5--)	NR
\$6	ველთაშორისი კავშირის მონაცემები (4-- 5--)	R
\$7	ხელნაწერის კოდი (2-- 4-- 5-- 7--)	NR
\$8	კატალოგიზაციის ენა (4-- 7--)	NR

მაგალითები:

210	02aBrunel University.\$bEducation Liaison Centre
210	01\$aOntario.\$bOffice of Arbitration
210	02\$aPomorski Musej. \$c(Kotor)
210	12\$aLabour Party\$c(Great Britain)\$bConference\$d(72nd:\$f1972:\$eBlackpool, Lancashire)
210	12\$aNorth Carolina Conference on Water Conservation\$f(1975:\$eRaleigh)\$xPeriodicals

215 - თავსათაური – ტერიტორიული ან გეოგრაფიული სახელი

ამ ველში იწერება გეოგრაფიული ადგილმდებარეობის სახელი. ტერიტორიის დასახელებები როგორც ასეთი ან მხოლოდ საგნობრივი ქვეგანყოფილებებით განიხილება, როგორც ტერიტორიის დასახელება (215 ველი). ისეთი ტერიტორიის დასახელება, რომელსაც როგორც თავსათაურის შემადგენელი ნაწილი მოყვება ორგანიზაციის დასახელება ვიხილავთ როგორც ორგანიზაციის დასახელებას (210 ველი).

ველი განმეორებადია ალტერნატიული დამწერლობის ფორმებისათვის, ინდიკატორები არ არის განსაზღვრული შეიცავს ცარიელ სიმბოლოებს.

ქვეველის იდენტიფიკატორი	ქვეველი	კომენტარი
\$a	შესატანი მნიშვნელობა	NR
\$x	თემატური ქვესათაური	R
\$y	გეოგრაფიული ქვესათაური	R
\$z	ქრონოლოგიური ქვესათაური	R

საკონტროლო ქვეველები

\$0	ინსტრუქციული ტექსტი (4-- 5--)	R
\$2	საგნობრივი სისტემის კოდი (4-- 5-- 7--)	NR
\$3	ავტორიტეტულ/ნორმატიული ჩანაწერის ნომერი (4-- 5-- 7--)	NR
\$5	ტრასირების კონტროლი (4-- 5--)	NR
\$6	ველთაშორისი კავშირის მონაცემები (4-- 5--)	R
\$7	ხელნაწერის კოდი (2-- 4-- 5-- 7--)	NR
\$8	კატალოგიზაციის ენა (4-- 7--)	NR

მაგალითები:

- 215 ჩჩაUnited States\$History
- 215 ჩჩა\$aOntario
- 215 ჩჩა\$aOntario\$xHistory\$z1801-1900
- 215 ჩჩა\$aRocky Mountains
- 215 ჩჩა\$aParis(Texas)

220 - თავსათაური – საგვარეულო სახელი

ეს ველი შეიცავს საგვარეულო სახელს.

ველი განმეორებადია ალტერნატიული დამწერლობის ფორმებისათვის, ინდიკატორები არ არის განსაზღვრული შეიცავს ცარიელ სიმბოლოებს.

ქვეელის იდენტიფიკატორი	ქვეელი	კომენტარი
\$a	შესატანი მნიშვნელობა	NR
\$f	თარიღები	NR
\$4	კავშირის კოდი	R
\$x	თემატური ქვესათაური	R
\$y	გეოგრაფიული ქვესათაური	R
\$z	ქრონოლოგიური ქვესათაური	R

საკონტროლო ქვევლები

\$0	ინსტრუქციული ტექსტი (4-- 5--)	R
\$2	საგნობრივი სისტემის კოდი (4-- 5-- 7--)	NR
\$3	ავტორიტეტულ/ნორმატიული ჩანაწერის ნომერი (4-- 5-- 7--)	NR
\$5	ტრასირების კონტროლი (4-- 5--)	NR
\$6	ველთაშორისი კავშირის მონაცემები (4-- 5--)	R
\$7	ხელნაწერის კოდი (2-- 4-- 5-- 7--)	NR
\$8	კატალოგიზაციის ენა (4-- 7--)	NR

მაგალითები:

- 215 ჩჩაDuecker family

230 - თავსათაური – უნიფიცირებული სათაური

ეს ველი შეიცავს უნიფიცირებული სახელის თავსათაურს. უნიფიცირებული სახელის საშუალებით შესაძლოა ყველა ისეთი ჩანაწერის ერთად შეკრება

რომლებშიც წერია ერთიდაიგივე ნაშრომის სხვადასხვა სერიები ან სხვადასხვა გამოცემების სახელები.

ველი განმეორებადია ალტერნატიული დამწერლობის ფორმებისათვის, ინდიკატორები არ არის განსაზღვრული შეიცავს ცარიელ სიმბოლოებს.

ქვეველის იდენტიფიკატორი	ქვეველი	კომენტარი
\$a	უნიფიცირებული თავსათაური	NR
\$b	მასალის ზოგადი განსაზღვრება	R
\$h	ნაწილის ან განყოფილების ნომერი	R
\$i	ნაწილის ან განყოფილების სახელი	R
\$k	გამოქვეყნების თარიღი	NR
\$l	ფორმის ქვესათაური	NR
\$m	ენა(თუ თავსათაურის ნაწილია)	NR
\$n	სხვადასხვა ინფორმაცია	R
\$q	ვერსია ან ვერსიის თარიღი	NR
\$r	შესრულების საშუალება (მუსიკალური ნაწარმოებებისათვის)	R
\$s	ნუმერაციის აღნიშვნა (მუსიკალური ნაწარმოებებისათვის)	R
\$u	გასაღები (მუსიკალური ნაწარმოებებისათვის)	NR
\$w	ცნობა არანაწილების შესახებ (მუსიკალური ნაწარმოებებისათვის)	NR
\$x	თემატური ქვესათაური	R
\$y	გეოგრაფიული ქვესათაური	R
\$z	ქრონოლოგიური ქვესათაური	R

საკონტროლო ქვეველები

\$0	ინსტრუქციული ტექსტი (4-- 5--)	R
\$2	საგნობრივი სისტემის კოდი (4-- 5-- 7--)	NR
\$3	ავტორიტეტულ/ნორმატიული ჩანაწერის ნომერი (4-- 5-- 7--)	NR
\$5	ტრასირების კონტროლი (4-- 5--)	NR
\$6	ველთაშორისი კავშირის მონაცემები (4-- 5--)	R
\$7	ხელნაწერის კოდი (2-- 4-- 5-- 7--)	NR
\$8	კატალოგიზაციის ენა (4-- 7--)	NR

მაგალითები:

230	⚡⚡\$aBible.\$mEnglish.\$qAuthorized.\$iSelections
230	⚡⚡\$aGod save the King;\$warr.
230	⚡⚡\$aBeowulf
230	⚡⚡\$aCronica de los Reyes de Castilla
230	⚡⚡\$aJuliana\$m(Middle English)
230	⚡⚡ \$aKoran\$xReadings

235 - თავსათაური – კოლექტიური უნიფიცირებული სათაური

ეს ველი შეიცავს კოლექტიურ უნიფიცირებულ დასახელების თავსათაურს. ამ უკანასკნელის დანიშნულება ისაა, რომ ერთად შეკრიბოს ნაყოფიერი ავტორის სხვადასხვა ნამუშევრებისათვის შექმნილი ჩანაწერები.

ეს ველი გამოიყენება მხოლოდ 245 (თავსათაური სახელი/კოლექტიური უნიფიცირებული დასახელება) ველთან ერთად.

ველი განმეორებადია ალტერნატიული დამწერლობის ფორმებისათვის.

პირველი ინდიკატორი განსაზღვრავს კოლექტიური დასახელების ტიპს.

0 დასრულებული ნამუშევრების კრებული

-

1 ნარჩევი ნამუშევრები ანუ ავტორის ნამუშევრების რაღაც ნაწილი

-

2 ნარჩევები ანუ ავტორის ნამუშევრების რაღაც ნაწილი, ამასთან დასაშვებია

- ცალკეული ნამუშევრების ნაწყვეტები.

მეორე ინდიკატორი არ არის განსაზღვრული შეიცავს ცარიელ სიმბოლოს.

ქვეველის იდენტიფიკატორი	ქვეველი	კომენტარი
\$a	კოლექტიური უნიფიცირებული თავსათაური	NR
\$b	მასალის ზოგადი განსაზღვრება	R
\$e	კოლექტიური უნიფიცირებული ქვესათაური	NR
\$k	გამოქვეყნების თარიღი	NR
\$m	ენა(თუ თავსათაურის ნაწილია)	NR
\$r	შესრულების საშუალება (მუსიკალური ნაწარმოებებისათვის)	R
\$s	ნუმერაციის აღნიშვნა (მუსიკალური ნაწარმოებებისათვის)	R
\$u	გასაღები (მუსიკალური ნაწარმოებებისათვის)	NR
\$w	ცნობა არანჭირების შესახებ (მუსიკალური ნაწარმოებებისათვის)	NR
\$x	თემატური ქვესათაური	R
\$y	გეოგრაფიული ქვესათაური	R
\$z	ქრონოლოგიური ქვესათაური	R

საკონტროლო ქვეველები

\$0	ინსტრუქციული ტექსტი (4-- 5--)	R
\$2	საგნობრივი სისტემის კოდი (4-- 5-- 7--)	NR

\$3	ავტორიტეტულ/ნორმატიული ჩანაწერის ნომერი (4-- 5-- 7--)	NR
\$5	ტრასირების კონტროლი (4-- 5--)	NR
\$6	ველთაშორისი კავშირის მონაცემები (4-- 5--)	R
\$7	ხელნაწერის კოდი (2-- 4-- 5-- 7--)	NR
\$8	კატალოგიზაციის ენა (4-- 7--)	NR

მაგალითები: იხ. 245 ველი.

240 - თავსათაური – სახელი/სათაური

ეს ველი შეიცავს სახელი/სათაური თავსათაურს, ამ თავსათაურის მიზანია ერთად შეკრიბოს ისეთი ჩანაწერები, რომლებშიც წერია ინფორმაცია ნაშრომის სხვადასხვა გამოცემის შესახებ ან სხვადასხვა ნომრები სერიაში. ამ ველის შევსება ხდება 2-- ბლოკში მოთავსებული ანალოგიური ველების მიხედვით, 200, 210, 215, 220, სახელისათვის და 230 დასახელებისათვის. ჭდეები, ინდიკატორები და მონაცემთა ქვევლები სახელისა და დასახელებისათვის 240 ველის \$1 ქვეველში იწერება. თუ გვაქვს საკონტროლო ქვევლები მაშინ ისინი უნდა მოთავსდეს \$1 ქვევლების წინ.

დაწვრილებითი ინფორმაცია იხ. *UNIMARC Manual*-ის 4-- ბლოკში.

ველი განმეორებადია ალტერნატიული დამწერლობის ფორმებისათვის, ინდიკატორები არ არის განსაზღვრული შეიცავს ცარიელ სიმბოლოებს.

ქვევლის იდენტიფიკატორი	ქვეველი	კომენტარი
\$1	ჩადგმული ველი	R

საკონტროლო ქვევლები

\$0	ინსტრუქციული ტექსტი (4-- 5--)	R
\$2	საგნობრივი სისტემის კოდი (4-- 5-- 7--)	NR
\$3	ავტორიტეტულ/ნორმატიული ჩანაწერის ნომერი (4-- 5-- 7--)	NR
\$5	ტრასირების კონტროლი (4-- 5--)	NR
\$6	ველთაშორისი კავშირის მონაცემები (4-- 5--)	R
\$7	ხელნაწერის კოდი (2-- 4-- 5-- 7--)	NR
\$8	კატალოგიზაციის ენა (4-- 7--)	NR

მაგალითები:

240	xx 1215 xx \$aFrance.\$1230 xx \$aBulletin officiel du registre du commerce
240	xx 1200 h 1\$aShakespeare,\$bWilliam,\$f1564-1616.\$1230 xx \$aHamlet\$xBibliographies

იხ. ასევე 540 ველში მოყვანილი მაგალითი.

245 - თავსათაური – სახელი/კოლექტიური უნიფიცირებული სათაური

ეს ველი შეიცავს სახელი/კოლექტიური უნიფიცირებული სათაური თავსათაურს, ამ თავსათაურის მიზანია ერთად შეკრიბოს ისეთი ავტორების ნაშრომები, რომელთაც ბევრი ნამუშევრები აქვთ. ამ ველის შევსება ხდება 2-- ბლოკში მოთავსებული

ანალოგიური ველების მიხედვით, 200, 210, 215, 220, სახელისათვის და 235 დასახელებისათვის. ჭდეები, ინდიკატორები და მონაცემთა ქვევლები სახელისა და დასახელებისათვის 240 ველის \$1 ქვეველში იწერება. თუ გვაქვს საკონტროლო ქვევლები მაშინ ისინი უნდა მოთავსდეს \$1 ქვევლების წინ.(საკონტროლო ქვევლები, რომლებიც განსაზღვრულია 200, 215, 220, 235 ველებისათვის არ იწერება \$1 ქვეველში).

დაწვრილებითი ინფორმაცია იხ. *UNIMARC Manual*-ის 4-- ბლოკში.

ველი განმეორებადია ალტერნატიული დამწერლობის ფორმებისათვის, ინდიკატორები არ არის განსაზღვრული შეიცავს ცარიელ სიმბოლოებს.

ქვევლის იდენტიფიკატორი	ქვეველი	კომენტარი
\$1	ჩადგმული ველი	R

საკონტროლო ქვევლები

\$0	ინსტრუქციული ტექსტი (4-- 5--)	R
\$2	საგნობრივი სისტემის კოდი (4-- 5-- 7--)	NR
\$3	ავტორიტეტულ/ნორმატიული ჩანაწერის ნომერი (4-- 5-- 7--)	NR
\$5	ტრასირების კონტროლი (4-- 5--)	NR
\$6	ველთაშორისი კავშირის მონაცემები (4-- 5--)	R
\$7	ხელნაწერის კოდი (2-- 4-- 5-- 7--)	NR
\$8	კატალოგიზაციის ენა (4-- 7--)	NR

მაგალითები:

245	ⓧ1200ⓧ1ⓈaShakespeare,ⓧbWilliam,ⓧf1564-1616.\$12350ⓧⓈaWorksⓧmRussian
245	ⓧ1200ⓧ1ⓈaWilde,ⓧbOscar.\$12352ⓧⓈaPlaysⓧxSelections

250 - თავსათაური – საგნობრივი რუბრიკა

ეს ველი შეიცავს თავსათაურს, რომელიც წარმოადგენს საგნობრივ(თემატურ) რუბრიკას.

ველი განმეორებადია ალტერნატიული დამწერლობის ფორმებისათვის, ინდიკატორები არ არის განსაზღვრული შეიცავს ცარიელ სიმბოლოებს.

ქვევლის იდენტიფიკატორი	ქვეველი	კომენტარი
\$a	საგნობრივი(თემატური) რუბრიკა	NR
\$x	თემატური ქვესათაური	R
\$y	გეოგრაფიული ქვესათაური	R
\$z	ქრონოლოგიური ქვესათაური	R

საკონტროლო ქვევლები

\$0	ინსტრუქციული ტექსტი (4-- 5--)	R
\$2	საგნობრივი სისტემის კოდი (4-- 5-- 7--)	NR
\$3	ავტორიტეტულ/ნორმატიული ჩანაწერის ნომერი (4-- 5-- 7--)	NR
\$5	ტრასირების კონტროლი (4-- 5--)	NR
\$6	ველთაშორისი კავშირის მონაცემები (4-- 5--)	R
\$7	ხელნაწერის კოდი (2-- 4-- 5-- 7--)	NR
\$8	კატალოგიზაციის ენა (4-- 7--)	NR

მაგალითები:

250	ჩხჩაEducation\$yItaly
250	ჩხჩაConstruction industry\$xLaw and legislation
250	ჩხჩაArchitecture, Modern\$z19th century

3 -- საინფორმაციო შენიშვნების ბლოკი

ინფორმაციული შენიშვნები ავტორიტეტული აღწერილობის ჩანაწერებში გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: ა) იმისათვის, რომ მოგვაწოდოს ისტორიული ინფორმაცია თავსათაურის შესახებ.

